

თითქმის არაფრით არ განსხვავდება ბურჟუაზულ ამხანაგო-თაგან.

* *

მაგრამ დღეს განა მოსახერხებელია სოფელში ქვეშაირი ამხანაგობის დამყარება? ვეჭვობ. მის გასახორციელებლათ საშირო პირობები ჩვენ ცხოვრებას ჯერ არ წამოუყენებია.

* *

ჯერ სპობენ ყოველგვარ საშვალებას ამხანაგობის დასაარსებლათ, მაგრამ ცხოვრება თითქო დასცინის ამხანაგობის მტრებს. გაქირვებულთა რიცხვი მრავლდება და მათ შორის თანაგრძნობა და კავშირი ყოველგან მტკიცდება...

* *

„კომიტეტმა“ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციონ გლეხობის გადასახადებს და აგრეთვე გამოიკვლიონ რამდენი და რა პირობებში აქვთ გლეხებს მიწები.

* *

სახელმწიფო გადასახადება, გლეხი და მაწა და საერთო ნადავლი განიცხადებს წინაშეა და სამება — ერთადსება, რომელსაც უნდა მიექცეს იმათი ყურადღება, ვისაც კი გულწრფელათ სურს სოფლის მეურნეთა და მეურნეობის გაუმჯობესობა...

* *

ძალიან სასურველი და სასარგებლო იქნება, რომ სოფლის მცხოვრებნი და მეურნეობა საყურადღებო ფაქტებს უფრო ხშირათ მოაწვდიდენ ურჩხალ-გაზეთებს სოფლის მეურნეთა მდგომარეობის დასასურათებლათ. ასეთ წერილებს იმდენათ უფრო მეტი ღირსება ექნება, რამდენათ ისინი უფრო დეტალურათ შეეხებიან საგანს. ძალიან კარგი იქნება, რომ წერილის ავტორები თათო სოფლიდან ავიწვიდენ: 1) დატაი, 2) ღარიბი, 3) საშუალო ქონების და 4) შეძლებული მეურნე გლეხის ოჯახებს. აგრეთვე აზნაურთა ოჯახებსაც. კარგი იქნება, რომ სამ-სამ ოჯახს აწერდენ თითოეული კატეგორიიდან. საჭიროა იქნეს მოხსენებულთ: ოჯახის წევრთა რიცხვი, წლოვანება, საერთო და თითოეული წევრის კერძოთ შემოსავალი და წყარო ამ შემოსავალთა; საჭიროა ყოველგვარი ხარჯის ჩამოთვლა: რამდენი და რაში დახარჯულა წლის განმავლობაში.

სასურველია შინაური პირუტყვების და ფრინველების რიცხვის ცალ-ცალკე აღნიშვნა.

ძვირფასი მასალათ ჩათვლება, თუ ავტორი თითოეული ოჯახის შესახებ რამოდენიმე წლის ანგარიშს ცალ-ცალკე შეადგენს.

ყოველგვარი გადასახადები ცალკე უნდა იქნეს მოხსენებულთ და აგრეთვე ისიც, რამდენი გადახდილა და რამდენი გადაუხდილა.

რამდენი მიწა დაუშუშავებიათ და რა პირობებში.

ვალათ აღებული ან გასესხებული ფულიც ავტორმა ცალკე უნდა აღნიშნოს.


ავტორი წერილისა სოფლის შესახებ მოიყვანს აგრეთვე ზოგიერთ საერთო საჭირო ცნობებს. მაგ.: რანაირია ბუნება; სოფელში რას უფრო მუშაობენ; მიწის სივიწროვეა თუ არა; ვაჭრობა სოფელში ვის ხელშია და სხვ.

რასაკვირველია, ავტორები მოიხსენიებენ აგრეთვე იმასაც, თუ ოჯახის რომელიმე წევრს სადმე სწავლა მიუღია.

ამნაირ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვის მეცნიერულათ გამოკვლევისათვის და მათი მოწოდება სოფლის ინტელიგენტებს არ გაუძნელდებათ.

დ. კალხიდელი.

ზოლას დასაფლავება



დიდი ხანია რაც პარტია არ ყოფილა მოწამე ისეთი დიდებული მანიფესტაციის, როგორც იყო ზოლას დასაფლავება.

დასაფლავების წინა დღით უკვე დიდ ფაცი-ფუცში იყვნენ. პოლიტიკური კლუბები და კომიტეტები არკვედნენ თუ მათ პარტიას როგორა მონაწილეობა მიეღო დადებულადამიანის დასაფლავებაში. მთავრობა ოფიციალურ მონაწილეობას ღებულაბდა. პოლიციას დიდი ხანია ასეთი თავსატეხი არ გასჩენია.

ყველამ კარგათ იცოდა, რომ ამ უსულო გვამის პატივის-ცემა ნიშნავდა არა მარტო სიბრალულს დადებული კაცის დაკარგვისა გამო, არამედ პატივისცემას იმ იდეალისად, რომელსაც განსვენებული ემსახურებოდა.

დილიდან ქალაქის და პოლიციის დარაჯნი და ჩაერაზნენ ყველა იმ გზებზე, რომელიც მიდის ბრიუსელის ქუჩაზე. მხოლოდ რჩეულნი ეღირსნენ იქ შესვლას, სადაც განსვენებულის გვამი იყო. შესავალი კარები სამგლოვიაროთ იყო მოკაზმულთ. დიდებული მიცვალებულთს ცხედარა მთლიან ცოცხალ ყავილებში იყო. კუბოსთან სხვა გვირგვინებისაგან განირჩეოდა მშვენიერი გვირგვინი დრეიფუისისაგან შემდგვის წარწერათ: ალფრედ დრეიფუისისაგან ემილ ზოლას ნიშნათ მადლობისა და მეგობრობისა.

განსვენებულთს ნათესავ-მეგობარნი იყვენ პურას საქმელ ოთახში და იქ ღებულაბდნენ სამძიმრის მთქმელთ. ცერემონიას არ დაესწრო ზოლას მეუღლე, რადგან ექიმებმა ნება არ მისცეს.

ზოლას პატივსაცემლათ მოსულ ჯარს მოუქლოდა კაპიტანი ოლივიე, რომელსაც დრეიფუისის საქმის გარწვევის დროს დრეიფუისის მხარე ეჭირა. კუბოს მოყვებიან ზოლას საუყეთესა მეგობრები რომლებიც უბედურების დღიდან ზოლას სამყოფს არ მოშორებან. რამოდენიმე წუთის განმავლობაში ჰარაბანის ხმა არ შეწყვეტილა.

ბოლოს კორტეჟი დაანძრა. კუბოს პირველნი მისდგდნენ ზოლას ნათესავები და სახალხო განათლების მინისტრი შომიე, რომელიც ოფიციალური წარმომადგენელია მთავრობის. უთვალავი ბრზო აესებს ქუჩებს და კუბოს მიახლოვებისთანავე ყველა მოწიწებით ქუდს იხდის.


როცა კორტეჟი სასაფლაოზე მივიდა, სახალხო განათლების მინისტრი ავიდა ესტრადზე (ამაღლებული ადგილი). მან აღნიშნა ის უზომო მწუხარება, რომელიც გამოიწვია ზოლას სიკვდილმა მთელ საფრანგეთში.

შეორეთ სიტყვა წარმოსთქვა მწერალთა საზოგადოების და დრამატიკულ საზოგადოების სახელით აბელ ერმანმა.

ერმანის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ანატოლი ფრანსმა. ორატორა მეტათ აღელვებული იყო და საზოგადოებაც აღელვა. ის ამბობდა ზოლას მეგობართა სახელით. მან მოკლეთ დაახასიათა ზოლას სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა და უფრო ვრცლათ მოიხსენია ზოლას შესანიშნავი მონაწილეობა დრეიფუისის საქმეში:

„მოწყალენო ხელმწიფენო! ემილ ზოლას მეგობრებისაგან მოწვეულმა მის საფლავზე სიტყვის წარმოსათქმელათ, მე პირველათ სამძიმარი და უღრმესი მადლობა უნდა გამოუცხადო მას, ვინც ორმოცი წელიწადი თანამგზავრი იყო ზოლას; ვინც იზიარებდა და უმსუბუქებდა მას შრომას, მხიარულობდა მასთან ერთათ გამარჯვების დღეს და ამხნევებდა მას გამუდმებულ თავ-გამოდებულ ძნელი მუშაობის დროს.

ბატონებო! ვაძლევ რა პატივს მეგობართა სახელით ემილ ზოლას, მე ვერ გავებედავ და ვერ ვიტყვი ჩემს და მათ



მწუხარებას. ოხვრა-კენსით კი არ უნდა ვეთხოვებოდეთ ისეთ ადამიანებს, რომელთაც დიდებული მოსაგონარი დაგვიტოვებს. იმათ უნდა ვაცილებდეთ საფლავში ვაჟკაცური ქებით, ჭეშმარიტი წარმოდგენით მათის საქმის და ცხოვრების. ლიტერატურული მოღვაწეობა ზოლასი მიუწოდებელია. ზოლა იყო დიდებული გულის ადამიანი. ის იყო ღრმა მორალისტი, ის გვიხატავდა ძლიერთა ბიწიერებას, გვეჩვენებოდა პესიმისტათ, ნამდვილ კი ოპტიმისტი იყო. რომანებში, რომელნიც სოციალურ ეტიუდებში წარმოადგენენ, ის თავისი ძლიერი შეუბრალებელი კალმით გვიხატავდა გარყვნილ-გათახსირებულ საზოგადოებას, დაცემულ არისტოკრატას; ებრძოდა ჩვენი დროის უმთავრეს ბოროტებას—უფლის ბატონობას. თუთ დემოკრატი არ ეფერებოდა ბრბოს და ყოველთავე დონისძიებას ხმარობდა რათა მათთვის გაეთვალისწინებინა მათი დამონაყება, რომლის მიზეზი უმეცრებაა; ის იბრძოდა ლოთოების წინააღმდეგ, რომელიც უკარგავს კაცს მსჯელობის ნიჭს, ართმევს მას თავის დაცვის სახეარს, ის ებრძოდა სოციალურ უკმაკურობას ყოველგან, სადაც კი შეხვდებოდა. მას სურდა ბედნიერთა რიცხვი ქვეყნათ გამრავლებულიყო. მას სწამდა მეცნიერება. დაჯერებული იყო, რომ ახალი ძალა—მაშინა კაცობრიობის მშრომელს კლასს მოუტანს ბედნიერებას. ეს ჭეშმარიტი რეალისტი უმაღლესი იდეალისტი იყო. მის ნაწარმოებთა შედარება შეიძლება ტოლსტოის ნაწერებთან; ეს არის ორი უდიდესი იდეალური სფერა ევროპის ორ კუთხეში, აყვანილი უმწვერვალეს სიმაღლემდე. ისინი ორივენი კეთილ-შობილური აზრებით ემსახურებან მშვიდობას, მაგრამ ტოლსტოის სფერა—ეს სფერაა თავ-მდაბლობის, სფერა ზოლასი — ეს არის მოედანი შრომისა.

ამის შემდეგ ანატოლ ფრანსი შეეხო შესანიშნავ „საქმეს“ და განაგრძო:

„როცა მოვიგონებო ზოლას დიდებულ ბრძოლას სიმათლის და ჭეშმარიტებას დასაცველათ, განა შეიძლება ღაჭუნდვით და არ მოვიგონოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავ-გამოდებით ცდილობენ დაღუპონ უღანაშაულო, რადგან შიშობენ, რომ იმის გაღარჩენას მოსდევს მათი დაღუპვა. როგორ დაეფარო მათი ვერაგობა. ეხლა მაშინ, როცა თქვენ თვალწინ მინდა წარმოვიდგინოთ ზოლა სავსებით ამხედრებული მათ წინააღმდეგ, მაგრამ უღონო და უიარაღო. განა შესაძლებელია არ მოვიხსენოთ მათი ფლიდობა, მათი სიტუა? ეს იმას ემსგავსება რომ დავფაროთ ზოლას გამირული სულის კვეთება. არ ვთქვათ მათი შეცოდება? ეს იმას შეედრება. რომ წავართვათ ზოლას კეთილ-შობილური ვაჟკაცობა. დავდუმდეთ და არ მოვიგონოთ მათი შეურაცხყოფა, ცილის წამება! ეს იმას ნიშნავს დავფაროთ ზოლას სიწმიდე და სიმათლის მოყვარეობა. არ მოვიგონოთ ის სიტუხვილი, რომელიც დაიმსახურეს მათ? ეს ის იქნება არ ვიწამოთ ზოლას სიღიადე მისი ძლიერება! არა და არა! ვერას დავფარავ, მე ვილაპარაკებ.

მშვიდათ და წყნარათ, რასაც მიცვალბულის პატივისცემა თხოულობს, მე მოვავგონებთ თქვენ იმ უკუნეთ დღეებს, როცა მინისტრთა საბჭოში ბრძანებლობდა ეგოიზმი და შიში. უსამართლობა უკვე ემჩნეოდა, მაგრამ საიდუმლო სინდისის მხილებს წინაშე ხასიათ მტკიცენიც კი ირყეოდნენ. ისანი, ვისიც ვალი იყო ელაპარაკნა—სდუმდნენ. უკეთესებს კი, რომელთაც არ ეშინოდათ თავისი თავის, ეშინოდათ თავის წრის (პარტიის), რომ არ ჩაეთრიათ საშინელ განსაცდელში.

საზოგადოებრივ ცრუობას, მოწოდებულს კაცთ სიძულვილისადმი დაებრმავებინა ცოდვილი ბრბო. მას სჯეროდა, რომ ის (ხალხი) გაყიდეს, გასცეს და ეს აბრაზებდა. წყვილადს მოეცვა იქაურობა; გამეფებულიყო სამარისებური სიჩუმე. და

აი ამ დროს ზოლა სწერს რესპუბლიკის პრეზიდენტ თავის წერილს. მას დაეცნენ გაშმაგებული დამნაშავენი, მათი დამცველები და მთლათ შეერთებული რეაქციონერები და ხალხის ბრბო მოტყუებული მათგან! თქვენ და ხალხი თქვენ თქვენის თვლით ხედავით, როცა პატიოსანი გულუბრყვილო ადამიანები შეუერთდენ საზოგადო მოსყიდულ მყვირალებს. თქვენ გესმოდათ გაშმაგებული ღრიალი და სასიკვდილოთ გამეტება—მაშინ როცა ზოლა მიყავდათ სამსჯავროსაკენ. მე აქ ვხედავ ზოგიერთა მისთანა მოაზრებებს, რომლებიც მასთან ერთათ სიმათლის აღსადგენათ იბრძოდნენ. დეე თვით იმათ გვიტხრან ყოფილა თუ არა ვინმე სიმათლის მაძიებელი ისე დევნილი როგორც ის! დეე, გვიამბობან, როგორის სულის სიმტკიცით აიტანა მან ყოველივე ეს? დეე, გვიამბობან ერთხელ თუ მოიდრიკა მისი ძლიერი პატიოსნება, ერთხელ თუ მოიხარა მისი ვაჟკაცური ქედი? ამ საშიშარ, ბოროტ-მოქმედების დღეებში, ბევრ პატრიოტს სასო წარეკვეთა, სამშობლოს დაღუპვის შეეშინდა. მართლმსაჯულება, პატიოსნება, აზროვნება—ყველა განსაცდელში იყო.

ზოლამ გამოაშკარავა არა მარტო მართლ-მსაჯულების შეცდომა, არამედ მან შემუსრა ყველა დანაშაულობის ძალა შეერთებული საფრანგეთის აღსადგენათ. შედეგი მისი ჩადენილი საქმის განუზომელია.

ბატონებო! მსოფლიოს არ აქვს ისეთი კუთხე სადაც ასეთი დიდებული საქმე მოხდეს. მხოლოთ საფრანგეთს შეუძლია იამაყოს მითი. ის საკვირველებია,—ის ჩვენი სამშობლოს გენიოსია. საფრანგეთის სული მშვენიერებაა, მან წარსულ საუკუნოებში ევროპას და მთელ ქვეყნიერობას ასწავლა სიმათლე. საფრანგეთი დამშვენებული კუთხეა—ქვე-გონების, ცხოველს მყოფელი აზრების, კუცხეა მართლის მოყვარე იდეალისტრატორების მსოფლი ფილოსოფოსების, ის სამშობლოა ტიურგოს, მონტესკიეს, ვოლტერის, მალერბას.

ზოლამ საუკუნო ღვაწლი დასდო საფრანგეთს. რომ მას მის მართლ-მსაჯულებაში სასო არ წარეკვეთა. ნუ დავიწყებთ ტირილს, რომ ის სტანჯეს და აწამეს. ასეთი ადამიანების ხვედრი უნდა გვეშურდეს, მან განადიდა თავისი სამშობლო თავისი დიდებული ნამოქმედარით. ბედმა და მისმა გულმა მას მიანიჭეს დიდებული როლი: იყო ისეთი მომენტები. როცა ის იყო კაცობრიობის სინდისი“.

ამ სიტყვამ პრავალი ტაშის ცემა გამოიწვია. სიტყვების შემდეგ დაიწყეს დებუტაციათა მიღება გვარგვინებით. აუარებელი რიცხვი იყო წარმომადგენლებისა.

სხვა-და-სხვა ამბები.

ქალაქის ქუჩების საუკეთესოთ მოკირწყელის გამგე მკირე კომისიას უანგარიშნია, რამდენის სივრცისა უნდა გამოვიდეს ის 42 ქუჩა, რომელიც უნდა მოკირწყელოს. ქალაქის ხარჯით მოსაკირწყლავი იქნება 24.376,76 ოთხკ.-საე. და ტრამვაის უსახელო საზოგადოების ხარჯით—9.298,2 ოთხკ.-საე. სულ— 33.674,76 ოთხკ.-საე.

ქალაქის სავალდებულო დადგენილებათა ძალით, სახლის პატრონი მოვალეა თავის სახლის წინ ქვა-ფენილი გააკეთოს და გაკეთებულიც, როცა გაფუქდება—შეაკეთოს. ვინც ამას არ ასრულებს, გამგეობა უჩივის და სასამართლოდან „ლისტი“ გამოაქვს. ამისთანა „ლისტები“ თურმე აუარებელი რიცხვია გამგეობის კანცელარიაში და იმის სისრულეში მოყვანაც არც უფერიათ. პოლიცემისტრი სთხოვს ქალაქს, გამოამიგზავნეთ ის „ლისტები“ და მე გადავხდები-

ნებ სახლის პატრონებს სასამართლოსაგან გადაწყვეტილ გადასახადსა და ქვა-ფენიღებსაც გაავაკეთებინებო.

„ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ“ საზოგადოების გამგეობაში ლაპარაკი აღიძრა ხალხისათვის იაფ-ფასიან წიგნების გამოცემის შესახებ. 30 ოქტომბრის სხდომაზე გამგეობამ გადასწყვიტა კიდევ შეუდგეს თავის ხარჯით ისეთ წიგნაკების გამოცემას, რომელნიც, როგორც შინაარსისა, ისე ფასის მხრივ ყველასათვის ხელ-მისაწვდენი იყოს. თავის გაზოკებისათვის გამგეობა ისარგებლებს, როგორც ჩვენის, ისე უცხოელთა მწერლების ნაწარმოებით. ამავე სხდომაზე ლაპარაკი ჩამოვარდა ზეპირ-სიტყვაობის შეკრების შესახებ. გამგეობამ გადაწყვიტა, განსაკუთრებული სხდომა მოხდინოს ამ საქმისათვის.

1 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მცხეთაში შემდეგი უბედურება მომხდარა: დღესასწაულზე ყოფილა, სხვათა შორის, ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის სტამბის ასოთამწყობი კანდაბარავი. თფილისში დაბრუნებისას ბევრს გონებია, რომ პირველათ ბათუმიდან მოსული მატარებელი დაიძრებოდა, ამიტომ იმაზე ასულან და, რადგანაც ადგილი ვეღარ უშოვნიათ, ვაგონების სახურავზე შეკოცებულან. ამ დროს დაძრულა მცხეთიდან თფილისში მომავალი მატარებელი და ხალხი ბათუმის მატარებლიდან გადმომხტარა. ამ დროს კანდაბარავი მატარებლის ქვეშ ჩავარდნილა და მატარებელს იმისთვის ორივე ფეხი მოუტეხნია. კანდაბარავი გრძობდა დაკარგული მიხეილის სამკურნალოში გამოუგზავნიათ, სადაც იგი გარდაიცვალა 2 ოქტომბერს.

ნაძალადევის რამდენიმე მცხოვრები სთხოვს ქალაქის გამგეობას, ქალაქის საიჯარო მაწივზე დანიშნული გარდასახადი, საყენზე ხუთა შაურა, მეტათ მძიმე გადასახადა ჩვენთვის და დაუკელით იმ კვალობაზე, რა ფასიც ჩვენს მიწებს ქონდეს იმ უბანშიო.

კავკასიაში საექიმო ნაწილის სამართველოს შემუშავებული აქვს შემოიღოთა საავადმყოფო სახლის ასაგები პროექტი, მაგრამ სახლის ასაგები და გამართვა-მოწყობისათვის საკმაო ფული ჯერ არა აქვს ხელთ საექიმო უწყებას. ამიტომ განუზრახავთ, თფილისში არსებული შემოიღოთა სახლი იმდენათ მაინც გაათაროვონ, რომ ეხლანდელ ავადმყოფებსაც შელკათი მისცეს და რამდენიმე ახალი ავადმყოფი მიიღონ ამ სახლში.

თფილისის გუბერნიის რამდენსამე სოფლის საზოგადოებას უთხოვნია მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულისათვის კავკასიაში: ვინაითგან სახაზინო მიწები, რომელიც ამ უბანთ ჩვენა გვაქვს ხელში, არ გვეყოფნის, განკარგულება მოახდინეთ მოგვიქრან და ოჯარით მოგვცენ კიდევ ის სახელმწიფო ადგილები, რომელსაც დღეს ხაზინა ვაქრობით იძლევა სხვებზეო. ამ ადგილებს სოფლის საზოგადოებანი უვაქროთ ითხოვენ, იმიტომ რომ, ვაქრობა თუ გაიმაზთა, ისევ ჩარჩებს ჩაუვარდებათ ხელში სახაზინო ადგილები და მერე ერთი ორ ფასათ, ან სამ ფასათ ჩვენ უნდა მოგვცენო.

მიმდინარე წელს ქუთაისის გუბერნიაში (სუხუმის ოლქის გარდა) მოუწევიათ სამოც და ათი ათას ფუთამდე პარკი. თვითვეულ მაზრას ხედება: ქუთაისისას—ოც და თორმეტი ათასი ფუთი, ოზურგეთისას—თოთხმეტი ათასი, ფ., ზუგდიდისას—თორმეტი ათასი ფ., სენაკისას—თერთმეტი ათასი

ფ. და დანარჩენ ადგილებს—ათასი ფუთი. ორთა შორის რიცხვით ერთ მისხალ თესლს გამოსულა დაახლოვებით 10 გირვ. პარკი, ესე იგი შარშანდელთან შედარებით უფრო ნაკლები გირვანქაზე ცოტა მეტი. საერთოთ პარკის მოსავლის ნაკლები ყოფილა შარშანდელზე, მაგრამ ეს იქიდან წამომდგარა, რომ წელს ვაცილებით ცოტა ჭია გამოუშვიათ. მიუხედავთ ამისა, იმის გამო რომ წელს პარკს საზოგადოთ კარგი ფასი ქონდა, მეაბრეშუმეებმა ერთ მილიონ და ორმოც და ათა ათას მანათზე მეტი აიღეს, რაც დიდ შეღავათს მისცემდა მოუსავლობისგან შეწუხებულ ხალხს. მეორე ჯგრზე ვაცილებულ ჭიასაც კარგი დარი დაუდვა და პარკის მოსავალი რიგიანი იყო. მეორეთ მოყვანილი პარკი სულ ადგილობრივი წესით იქნა ამოხვეული და ამ ნაირათ ამოხვეული აბრეშუმი გირვანქა. 3—4 მანათათ იყიდებოდა, ამ ბოლო დროს კი ფასი ორ მანათ ნახევრამდის ჩამოვიდა. პარკის ყიდვაში მონაწილეობა მიიღეს მეაბრაშუმეთა ამხანაგობებმაც. ამათგან „ქუთაისის გუბერნიის პირველმა მეაბრაშუმეთა ამხანაგობამ“—იყიდა სამი ათას ექვსასი ფუთი (3.600 ფ.), „კოლხიდა“ ათას ხუთასი ფუთი, გურაის „შუამავალი“—ათას ასი ფუთი, სენაკის ამხანაგობამ—სამასი ფუთი, ხოლო ყველა ამხანაგობებმა 6.500 ფუთი პარკი, ე. ი. მთელი მოსავალის ერთ მეათედზე ცოტა ნაკლები.

ქუთათური ამბები

ქუთაისის საკვირაო სკოლის მასწავლებელ ქალებმა 29 ენკენისთვის მილოცვის დეპეშა გაუგზავნეს ხარკოვის საკვირაო სკოლის დამხმარებელ ცნობილ პედაგოგ-ქალს ხ. აღჩევსკიას, რომლის 40 წლის იუბილეს ამ დღეს ხარკოვის საკვირაო სკოლის სახალხო მოღვაწეები იხდიდენ.

24 და 28 ენკენისთვის აქაურ საურთიერთო ბანკის დარბაზში ოცამდე ქალ-ვაჟს რეფერატი წაუკითხა სიმონ ქერიანმა „რუსთველის და მის ვეფხვის-ტყაოსნის“ შესახებ. ავტორს, ეტყობა, ბევრი უშრომნია თავის გამოკვლევაზე, რომ ვეფხვა-ტყაოსნის გმირების შესახებ ორგინალური აზრი გამოეცქევა. რამდენათ დასაბუთებულთა იგი, და ისტორიულ მასალებზე დაყარებული,—ამის თქმა რეფერენტის მსმენელებმა ჯერ ვერ იკისრეს და ურჩიეს ავტორს დასტამბოს თვისი გამოკვლევა ჟურნალში, რათა საქვეყნოთ მიეცეს შეძლება კრიტიკამ აზრი გამოთქვას ამის შესახებ. ავტორი დასტამბამდე საჯარო ლექციათ აპირებს თავისი გამოკვლევის აქწაკითხვას. კერძო კრებაზე კი ზოგიერთებმა მას აქა-იქ წვრილმანი შენიშვნები მიცეს და ამით დაკმაყოფილდენ.

ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოება 21 ოქტომბერს კლუბში საცეკვაო საღამოს გამართავს ღარიბთა საავადმყოფოს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლათ, საღამოს დიასახლისით „საზოგადოების“ თავმჯდომარე ქბ-ნი სმავინისა იქმნება.

29 სექტემბერს ქალაქის ბაღში გამართული იყო სეირნობა, ქუთაისის გაბრიელის დედათა საეპარქიო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ. ბაღში უკრავდა სამხედრო მუსიკა, ბავშებისათვის სხვა და სხვა სათამაშოები იყო გამართული. სეირნობას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. ამავე დღეს, ამავე სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთვე, კლუბში საცეკვაო საღამო იყო დანიშნული. კლუბის დარბაზი მეტათ კეკლუცათ მორთულ- მოკაზმულ-

ლი იყო ბაიროლებითა და ყვავილებით. სალამოს დიდი-ძალი საზრგადოება დაესწრო.

ქიათურიდან გვევრენ: თუ ზოგიერთმა სოფლის ქსენონებმა, როგორც მაგალითათ დიდი-ჯიხაიშისამ თავის სიკარგით გაითქვა სახელი, აქაურმა კი თავის—სიავით: ასეთია მოღვაწეობა აქაური ქსენონის ექიმ-ფერშლებ-ზედამხედველისა, რომელთაც განსაკუთრებით თავიანთ კუქისთვის შეუქმნით საავათმყოფო, ვინემ მუშათათვის. ავათმყოფებს ჩაუვლიან გვერდში შორი-ახლო დაეკითხებიან რა გტკივაო და არ გაივლის ორიოდ საათი ავათმყოფს მოუღის დიდი საინი (თევზი) გირვანქიანი ძვლით. ესეც ახლომოდის რეცეპტი ქიათურის ესკულაპიდიდან აღმოჩენილ-გამოგონილი!... დაცინვის კილო გამოგებატბოლათ პირისახეზე და თან ნაღვლიანი ცრემლები თვალებზე მოგადგებოლათ შეხედავლით თუ არა მუშას, რომელსაც დაუკავებია ეს გირვანქიანი ძვალი ხელში და ამბობდა: „ამით მკვებამდენ, სიეზლის“ საავადმყოფოში ზეზებებში ხელ-ჩადებული შორი-ახლოდას მეკითხებოდენ რა გტკივაო. სად მიდის ნეტავ თუ კი არის რბილი და მსუქანი ნაქრები? თურმე ნუ იტყვიოთ კუქსა და ჯიბესა შინა ბედშავ ზოღვაწეებისასა, რომლებშიაც ექიმს 250 მ., ფერშლებს 50—60 მ. თა ზედამხედველს 100 მანეთამდე ეძლევათ თვიური ჯამაგირი, რომ არ ვიანგარიშოთ კერძო შემოსავალი. ამას თავი ღვეანებოთ ძვლებმა თქვენი ქირი წაიღოს, რომ ავათმყოფებს გამოწერისას თითო ძვალში 1—2 მანეთს არ უქვითავდენ, იმ ფულიდან, რომელიც მათ ხშირათ მიყვებათ ჯიბეზე საავათმყოფოში დაწოლისას.

კორესპონდენციები.

ჰ. ბაროი. (საბჭოს 30 სექტემბრის მორიგი სხდომა). კრება გახსნა ქალაქის თავის ბ-ნი ანდრეიკაშვილის თავმჯდომარეობით. რადგან ამ სხდომის ერთი „საინტერესო საკითხი“ (ექიმ ტრიანდაფილისადმი 17 ხმისხმების წინადადებით მადლობის გამოცხადება) უნდა გადაწყვიტილიყო, ამიტომ, თითქმის, ეგვალ ხმისხმებით განიხილდა. ბუგრია მყოფებლებიც.

ზარეული კითხვა შეეხებოდა ბათომში ორი „სოტნა“ კაზაკებისა და მათი ცხენებისთვის ბნების მიღებას. გასულ კაზახულზე მთავრობამ აქაური ზოლიციის დასახმარებლათ გამოგზავნა ორი „სოტნა“ კაზაკები. გუბერნატორმა მაშინ წინადადება მისცა ქალაქს, რომ „კაზაკებისა“ და მათი ცხენებისთვის ბნის აკო, ან ექიარეუბინა. ქალაქის თავმა ეს წინადადება საბჭოს მანსუხა და თან დასძინა, რომ ქალაქი არ არის ვადგებულ იქ სარჯო გასწიოს, რადგან კანონი ამას ჩვენ არ გვაუბლებს. საბჭომ მიიღო მაშინ ეს წინადადება. მანამდე გადაწყვიტილებასზე გუბერნატორი არ დათანხმებულიყო და ეს საქმე ქუთაისის საქალაქო საქმეთა სარეგულაციისთვის გადაეცა. სარეგულაციის ვერ უნდა კანონიერათ საბჭოს ეს დადგენილება და არ დაუმტკიცებია ის. ამ საკითხის შესახებ გამოკვება იმ აზრს დადგომია, რომ განასახიერონ ეს დადგენილება სარეგულაციის. საბჭომ მიიღო ეს აზრი.

საბჭომ მიიღო აგრეთვე გამოკვების მიერ შემუშავებული წესების კარგულ ფრინველთა და ნადირთა ვაჭრობის შესახებ. მიიღეს აგრეთვე კომისიის მიერ დადგენილი ნიხრა საზოგადოების შესახებ.

გამოკვებას თვითმართველობის ყოფილ ბუჭალტერის რადვილოვიჩისაგან მოსვლია თხოვნა. ბ-ნი რადვილოვიჩი თხოვნს გამოკვებას, რომ მან მოახსენოს საბჭოს რადვილოვიჩის ათი წლის სამსახურობა. რასაკვირველია, ამით ბ-ნი რადვილოვიჩი იფუთით დაჯილდოვებას თხოვდა საბჭოს. გამოკვება იმ აზრს დადგომდა, რომ ბ-ნი რადვილოვიჩი დაეჯილდოვებინათ 2200 მანეთით, ე. ი. იმდენით, რამდენსაც რადვილოვიჩი წლიურათ იღებდა ჯამაგირს. ხმა-

სახმა ლეკან მსკდლიშვილმა თქვა, რომ ბ-ნი რადვილოვიჩის თუ ქალაქის თვითმართველობაში სამსახურს თავი დასხება; ეს ამიტომ, რომ გაცნობით უკეთესი ადგილი მოიხვეჭა. ის დაქვნილია კომისიის აგენტია და მისი წლიური შემოსავალი 1200 მანეთია უდრის. ის რომ ისე გაჭირვებული იყოს, რომ დახმარებას საჭიროებდეს, მაშინ შე არ ვაქნება მისი დაჯილდოვების წინააღმდეგი. დღეს კი ჩვენი ქალაქი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშია საფუთთ გადასახადის შესახებ, რომ 2200 მანეთი მისთვის კაი დიდი იფულისა. ამიტომ შე სამართლიანათ მამხნია, რომ ეს საკითხი დარჩეს გადაწყვეტილათ. მანამ, სანამ ქალაქი უკეთეს მატერიალურ მდგომარეობაში არ ჩადგება. ხმისანი ქაქიძე არ დათანხმდა. მსკდლიშვილის აზრს. ის ამტკიცებდა, რომ უთუთუნდა დაჯილდოვებით რადვილოვიჩი; ის 10.000 იღებს, თუ მეტს, ეს ჩვენი საქმე არ არის. წამოდგა ხმისანი საბსტრუქტივი, მანამდე დრეს შემადარწუნებელი ამბავი მოხდა. ხმოსან ლეკან მსკდლიშვილს, რომელიც კარგა ხანია გულის ფრიალით ავთმყოფობდა, უნებ გული წაუგადა. ქალაქის თავმა კრება შეწყვიტა, მიტვიფდენ ხმოსნები, ექიმები, მანამ შეკვლა შეუძლებელი იყო. მსკდლიშვილი იქვე გარდაიცვალა.

განსვენებული ერთი საუკუნეთის ხმოსანთაგანი იყო. ისე არ მოვიდოდა საბჭოში, რომ საქმეს წინ და წინ არ გაცნობოდა. ამასთანავე ის იყო ფრიალ გულ-წრფელი ადამიანი, ზირში მამხილებელი, მოუსხიდეული. მისმა გადაცვლებამ გულწრფელი მწუნარება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში.

კატა.

რუსეთის ცხოვრება.

სსრფლ-სამკურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევათ შემდგომში კომიტეტმა აარჩია განსაკუთრებული კომისია წვრილ სახლსა კრედიტის საქმის გამოსარკვევათ. კომისიის თავმჯდომარეთ ტერენკია, წევრებთ მიწათ-მექმედების მინისტრის ამხანაგი სტეგენი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი სტაშინსკი, სასულმწიფო ბნების გამკე ზეესკე და სხვანი.

— აზრათ აქვთ მომავალ წელს ზეტერბურგში გამართონ აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ამერიკის ნაწარმებთა გამოფენა. ამ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ: ოსმალეთი, ინდოეთი, სპარსეთი, სიამა, ჩინეთი, იაპონია, თურსია, ალჟირი, და ამერიკა.

— „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია ინსტრუქცია საქარხნო ინსპექტორების საურადადებოთ. ინსტრუქცია შეეხება იმ ფულის ხარჯვას, რომელიც დაშავებულ და ავთმყოფ მუშათა სასარგებლოთ ქარხნის ხატრნთ ერთმევათ. ამ ფულით შემწეობა უნდა აღმოუჩინონ იმ ქარხნების მუშებს, რომელნიც საქარხნო ინსპექციის ემორჩილებიან. შემწეობა შეიძლება აღმოუჩინონ როგორც ავთმყოფ და დაშავებულ მუშას, ისე იმის ოჯახს. ერთ-დროული შემწეობა არ უნდა აღემატებოდეს 100 მანეთს, ხოლო თვიური—8 მანეთს.

— საქარხნო ინსპექტორებისთვის ფინანსთა სამინისტროს დაუკავშირია, თვალ-ყური ადევნეთ ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშების სადგომები უთუთთ ისეთი უნდა იყოს, როგორცაც ეს კანონით დაწესებულია ქარხნებისათვის.

სასლუგარ-გარეთ.

საფრანგეთი. პა-დე-კალეს ქვა-ნახშირის მადნებში მუშაობა აღიარა სწარმოებს. ამბობენ, მუშაობაზე 20 ათას კაცამდე აიღო ხელიო. მთა-მადნის მუშების საბჭომ მანიფესტო გამოსცა და ურჩია ყველას, წესიერათ და დინჯათ მოიქციოთო. საბჭო დანარჩენ ხალხსაც სთხოვს, მონაწილეობა მიიღეთ ამ საქმეში და თქვენი ამხანაგების პირი დაიჭიროთო. ჩრდილოეთ დეპარტამენტში, აზინკურის მადნებშიაც დაუ-

გენიათ, პა-დე-კალგებს მუშებს მივემხრნეთო. (ც. ფ. № 1942).

პარიზი. ვითომ იმ მუშებს, რომელნიც გაფიცვაში მი-
ნაწილეობას არ იღებდნენ, იარაღი დაურიგესო—ტყუილი
ხმებია.

— 30 სექტემბერს ბრადსკი თავის ჰაეროსტატით აფ-
რინდა; ჰაეროსტატი კარგით წავიდა, მაგრამ ნავის თოკები
დაწყდა. ბრადსკი და იმისი თანამოგზაური მკვდარი იპოვეს.

ნიუ-იორკი. ქვა-ნახშირის საჭიროება დაეტყო. ბევრ
ქალაქებში ლარიბებს დაკლებულის ფასით აძლევდნენ ნახშირს.

შარლზა. ბელგიის რამდენისამე ქვა-ნახშირის მადან-
ში მუშები გაიფიცენ, რომ საფრანგეთში ნახშირის გაზადვას
ხელი შეუშალონ.

შეერთებული შტატები. რუხველტმა ქვა-ნახშირის
მადანებში მომხდარ ამბების გამო კონფერენცია შეკრიბა.

პრეზიდენტისაგან მოწვეული კაცები რუხველტთან შეი-
კრიბნენ. პენსილვანიის რკინის გზის უფროსის გარდა, ყვე-
ლანი მოვიდნენ. კონფერენციას დაესწრნენ აგრეთვე იუსტი-
ციის მინისტრი ნოქსი და შრომის საქმეთა კომისარი კ. რაი-
ტი. რუხველტმა წინადაცე დაწერილი განცხადება წაიკითხა.
განცხადებაში ეწერა: პრეზიდენტი ახსენებს დამსწრე პირთ,
რომ პენსილვანიის ქვა-ნახშირის მადანებში მომხდარი ამბავი
შეეხება მადნის პატრონებს, ნახშირის გამომღებთ და მთელს
ამერიკის ერს. რუხველტი მთელის ერის ინტერესებს იცავს.
დავა მარტო პირ-და-პირ დაინტერესებულ მადნის პატრონებს
და მადნის გამომღებთ აქვთ, მაგრამ ამ დავას ისეთი ამბავი
მოყვება, რომ მთელ ხალხსაც საქმე გაუჭირდა. გზლამდი იმე-
დი იყო—მოდავენი მორიგებით გაათავებდნენ საქმეს, ამიტომ
პრეზიდენტსაც უხერხულათ მიაჩნდა ამ საქმეში გარევა, მაგ-
რამ მეტი დაცვა არ შეიძლება, რადგან ზამთარი მოახლოვ-
და, ხალხი უნახშირობის გამო ისეთ საზარელ ყოფაში ჩავარ-
დება, რომ პრეზიდენტს თავის მოვალეობათ მიაჩნია საქმეში
გაერიოს და მთელი თავისი გავლენა მოიხმაროს, რომ ეს
აუტანელი მდგომარეობა და გაჭირვება ხალხს თავიდან ააშო-
როს. პრეზიდენტი გადაჭრით აცხადებს, რომ მას კანონის
ძალით არც უფლება აქვს და არც მოვალეობა ამ საქმეში
ჩაერიოს, მაგრამ მხოლოდ ხალხის საშინელმა გაჭირვებამ
მოაფიქრებინა და აიძულა ამ საქმეში გაერევა.

დამსწრეთ პრეზიდენტის განცხადება მოისმინეს და დაი-
შალნენ. ნაშუადღევს ხელ-ახლათ გაიმართა კონფერენცია.
მთა-მადნის მუშების კავშირის პრეზიდენტმა მიჩელმა წინადა-
დება შეიტანა—პრეზიდენტ რუხველტს მივანდოთ ჩვენის და-
ვის გადასაწყვეტათ კომიტეტი დანიშნოსო. თუ ჩემ წინადა-
დებას მიიღებთ, მენახშირე მუშებიც დაუყოვნებლივ მუშაო-
ბას დაიწყებენ მადანებშიო. მაგრამ მადნის პატრონები სულ
ყირაზე შედგნენ, თურმე. მიჩელის წინადადებას, თუნდ კარ-
გიც იყოს, არაფრათ არ ჩაეადგებთ და ყურსაც არ დაუფ-
დებთო. თუ მენახშირე მუშებს რაიმე საჩივარი აქვთ, ან უკ-
მაყოფილონი არიან მადნის პატრონებისა, ყოველ მათვანს
ცალკე შეუძლიან ადგილობრივ ოლქის სასამართლოებში
საჩივარი შეიტანოს. ამ სასამართლოების განაჩენს მადნის
პატრონებიც ყოველთვის დიდის ხალხისთ დაემორჩილებიან.
ჩვენ თითოეულ მუშასთან ცალკე გვაქვს საქმე და არა იმათ
კავშირთან და ან კავშირის პრეზიდენტ მიჩელთან. მუშების
კავშირს და იმის პრეზიდენტს ჩვენ არ ვიცნობთ და იმათ
წინადადებასაც არას დროს არ მივიღებო. მთელი ორი სა-
თი ილაპარაკეს, მაგრამ ვერ მორიგდნენ. კონფერენციაა უნა-
ყოფოთ ჩაიარა და დამსწრენი დაიშალნენ.

ამერიკული გაზეთები თითქმის ერთხმით კიცხვენ მად-
ნის პატრონების სიკვრბეს და შეურაცხველობას. ფიქრობენ,
რუხველტი კონგრესის საგანგებო კრებას მოახდეს და ისეთი

კანონის გამოკვემას, მოითხოვს რომ პრეზიდენტმა ქვა-ნახში-
რის ტრესტის ალაგმვა შეიძლოს. ამ დღეებში დეტროუში
ამერიკის მრავალ ქალაქის დელეგატები კრებას შეკრიბდნენ
და ხალხის გაჭირვებაზე მოილაპარაკებენ. ქვა-ნახშირის
ქალაქებში უწყსოება არ მოხდესო, რადგანაც ლარიბ ხალხს
კუდი დღე დაადგება ნახშირის უქონლობისა და სიძვირის
გამო. (ც. ფ. № 1941).

კონფერენციის შემდეგ, მადნის პატრონებს სამხედრო
მინისტრ რუტთანაც ჰქონიათ მოლაპარაკება. მადნის პატრო-
ნებს უთხოვიათ მინისტრისათვის, სახელმწიფო ჯარი გამოგ-
ზავნეთ, რომ მადანებში გარეშე მუშები დაიცვან „კავშირის
მუშებისიგანაო“. რუტს რიგზე აუწონ-დაუწონია ეს თხოვნა
და უპასუხნია, მთავრობას უფლება არა აქვს პენსილვანიაში
ჯარი გამოგზავნოსო, რადგანაც ჯერ იქაურ გუბერნატორს
არ მოუთხოვნია ჯარი და ფოსტით მიწერ-მოწერაც ჯერ არ
არის შეწყვეტილიო. იუსტიციის მინისტრს ნოქსსაც ესევე
უთქვამს. („ცნობ. ფ.“).

საზოგადოებრივი. ნაციონალისტების დეპუტატებმა ლაზომ
და გიუიომ შეატყობინეს სამხედრო მინისტრს: პალატაში
მოვითხოვთ, რომ სამხედრო მინისტრმა ღონისძიება მიიღოს
და ჯარი პოლიციის მოვალეობის შესრულებისაგან გაანთა-
ვისუფლოს; ჯარი ჩვენის ქვეყნის დასაცველათ არსებობს და
არა პოლიციის საქმის ასასრულებლადო. (ც. ფ. № 1941).

მთა-მადნის მუშების ეროვნულ ფედერაციის უმთავრეს
მდივნის პასუხათ პირველ მინისტრს კომბსა და საზოგადო
საქმეთა მინისტრს ერთათ შეუდგენიათ წერილი. გაზეთებს
შეტუტყვიათ, პირველმა მინისტრმა ანაიბი პასუხი მიცაო:
„ეროვნულ ფედერაციის მოთხოვნის თაობაზე შედგენილი
კანონ-პროექტები პარლამენტშია შეტანილი და ვეცდები და-
ვამტკიცებინო პარლამენტშია“. კანონ-პროექტი სამუშაო
დღის თაობაზე პალატამ კიდევ დაამტკიცა და ვხლა სენატმა
უნდა განიხილოსო. მინიმალურ სამუშაო ქირის თაობაზე მე
იმ აზრის ვარ, რომ საწყის ქირა საქმის პატრონებმა და
მუშებმა თითონ თავისუფლათ ერთმანერთში მორიგებით უნ-
და დანიშნონ ხოლმეო. (ცნ. ფ. № 1941).

პარიზში ხმა დადის, რომ მინისტრ-პრეზიდენტს დებეშა გა-
უგზავნია იმ თორმეტი დეპარტამენტის პრეფექტისათვის, სადაც
ქვა-ნახშირის მადანებში მომუშავეთა გაფიცვაა ამ ჟამათ, რომ
სამხედრო ზომები მიიღონ წესიერების დასაცველათ. („ჩერნ-
მორსკ. ვესტ“. № 216).


პოლიტიკური მიმოხილვა.

(„Курьер“ № 257).

შეერთებული შტატები და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები.

მონროეს დოკტრინას, (რომლის გახსენება შეერთებულ
შტატებს ძლიერ უყვარს დიპლომატიურ ნოტებში, როდესაც კი
მოუხდება ხოლმე შეტაკება ევროპის სახელმწიფოსთან), თურ-
მე ძალიან ცოტა თანამგრძობელი ყავს ამერიკის სახელმწიფო-
ებთა შორის.

„ამერიკა ამერიკელებისთვისაა“ ასე ეუბნებიან ამე-
რიკის სახელმწიფო მოღვაწენი ევროპის იმ სამეფოებს,
რომლებსაც აზრათა აქვთ ფეხი მოიმაგრონ ამერიკაში. ეს
პრინციპი ევროპის სახელმწიფოებისაგან ფაქტიურათ თითქმის
მიღებულია; ეს ცხადათ დამტკიცდა ამერიკისა და ისპანიის
შორის მომხდარი ომის და ზოლოს ვენეცუელასა და კოლუმბ-
ბიაში არეულობის დროს. ზოგიერთა სახელმწიფოები თანა-
უგრძნობდნენ ისპანიას და დახმარებას უპირებდნენ მას, მაგრამ
შეერთებული შტატების მთავრობამ განაცხადა რა, რომ ის
არავის ნებას არ მიცემს ამ ომში ჩაერიოსო ვერც ერთმა ვერ



გაბედა დახმარება. იგივე განუცხადა გერმანიას მაშინ, როდესაც იგი შეეცადა ესარგებლა შეურაცყოფით, რომელიც ვენეცუელას მოხელეებმა მიაყენეს გერმანიის სამხედრო გემზე მოსამსახურეთ ვენეცუელას წყლებში, ჯარის გადმოსასხმელათ. შეერთებული შტატების წინააღმდეგობამ აიძულა გერმანია უკან დაეხია და უარი ეთქვა თვის სურვილზე.

ამ ნაირათ ეკროპიის სახელმწიფოები ფაქტიურათ შეურიგდენ იმ აზრს, რამ ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში გავლენა მხოლოდ შეერთებულ შტატებს ეკუთნის.

მაგრამ შეერთებულ შტატებს მოულოდნელი წინააღმდეგობა გაუწიეს სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებმა, რომელთაც არაფრის გულისათვის არ უნდათ შეერთებულთა შტატების პროტექტორატის ქვეშ ჩაცვივნა. ჯერ ისევ შარშან მექსიკაში მომხდარ კონგრესზე, როდესაც ჩამოვარდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამერიკის სახელმწიფოთა შორის მომხდარი უთანხმოება სამედიატორო სამართლით გადაწყდეს ხოლმეო, ჩილიმ განაცხადა, რომ იმას არ შეუძლია ისეთი ვალდებულების მიღება, რომელიც მის თივისუფლებას შეზღუდავს. ჩილის მიერ ერთი წლის წინათ გამოთქმული აზრს ეხლა უფრო მეტი ძალა და მნიშვნელობა ეძლევა, როდესაც სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებში ცხადათ იჩინა თავი მოძრაობამ შეერთებული შტატების გაბატონების წინააღმდეგ მთელ ამერიკაში. პანამაში ამერიკის ჯარის გადმოსხმის გამო არგენტინის გაზეთებმა ძალიან ცხადათ აკრძახებინა შტატებს, რომ სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები იმათ საქმეში ჩარევის ნება არ მისცემენ არც ევროპას და არც ამერიკასო.

ეს მოძრაობა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ დიდათ შესანიშნავია, რადგანაც ის გვიჩვენებს იმ ნაირ სახელმწიფო ჯგუფების გაჩენას, რომელნიც თანასწორათ ეწინააღმდეგებიან, როგორც ეკროპის, აგრეთვე შეერთებული შტატების თავიანთ საქმეში ჩარევას! —

* * *

თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში საწარმოვო ძალთა განვითარების გამო სახელმწიფოები იძულებულნი არიან თავის საქონლისათვის და თავის კაპიტალისათვის. შორს ეძიონ ასპარეზი ხოლო დღეს, მეფობს არა საზოგადოებრივი წარმოება და სხვა და სხვა სახელმწიფოების ბურჟუაზიის შორის არის კიშობა... ერთი სახელმწიფო ცდილობს თავის ბურჟუაზიის საქონელს და კაპიტალს მოუპოვოს რომელიმე სახელმწიფოში რაც შეიძლება უფრო ფართო ასპარეზი; ამასვე ცდილობენ დანარჩენი სახელმწიფოებიც. ხოლო თვითონ ის ქვეყანა, სადაც უცხო სახელმწიფოები ერთი მეორეს ეჯობებიან, დროებით შაინც ვარდება აუტანელ მდგომარეობაში; ამიტომ ის ცდილობს განთავისუფლდეს მათი ბატონობისაგან. ასეთ მდგომარეობაშია დღეს სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი სახელმწიფოები.

ჩამოწყვეტილი ფოთოლი.

ჩამოწყვეტილი ფოთოლი
ჩამქნარი, კაემნიანი
მიჰქონდა ქარსა ჰაერში,
ობოლი, ობოლ-გზიანი!

ქარი კვნესოდა, გმინავდა,
ქარი ტიროდა, სიოდა
და ფოთოლი კი ცრემლების
ტალღებზე გადადიოდა!

თანაც მოსთქვამდა: „მშვიდობით,
მშვიდობით გაზაფხულოვო,
სამს დროთა შორის ვარსკვლავთქონეული
ხმელეთის თაიგულოვო! **გიბლირთქვა**“

მშვიდობით, ქალავ, მინდორო,
ამწვანებულო მდელივო,
ზურმუხტის ჩანგზე სიმებო,
შესაწყობ დასამღეროვო!

მშვიდობით მთანო ნაქარგნო,
მორთულნო—ქრელი კაბითა,
გულ-სახსოვარო სალო კლდეც,
ამირან გმირის ამბითა!

მშვიდობით წყაროვ არშიყო,
ვარდ-ზამბახის და იასი,
რაკრაკავ, ჰანგის შემწყობო,
ბულბულის ტია—ტიასი!

გემშვიდობებით მეგობრებს,
გემშვიდობებით ცრემლითა,
ზამთარმა შტოზე მომწყვიტა,
მომწყვიტა ბასრი ხელითა!

ნამი ნაღველათ შემახმა,
ჩაძიქნა გული ყვავილში.
ბედმა მიმუხთლა უდროვით
მე განთიადის ძახილში!

მშვიდობით მზისა სხივებო,
და გარიჟრაჟო დილისა,
მივდივარ... შორ გზას გავივლი
წამლები თქვენი ქირისა!

მახსოვს და თანაც წამყვება
ჩემი ლაღობა, ნავარდი;
ბევრჯელ მესროლა ავ-ბედმა
მახე და რკინის ქამანდი!

ბევრჯელ აუსხლტი, მაგრამ დღეს
მივდივარ ჩამოწყვეტილი
გზა ნაცნობია... ბილიკი
აქ არის გამოკვეთილი!...

სჩანს გაუვლიათ სხვებსაცა:
ცრემლი აჩნია კვალზედა,
აქა-იქ სისხლიც შემხმარა
დაწყვეტილ ეკალ-ნარზედა!

* თითქოს ხანდისხან ხმაც მესმის,
ბანს მეგბნებიან წყობითა...
შორს... შორს... და გრგვინავს სალი კლდე,
გრგვინავს, სქექს ბობოქრობითა!

ერთსა გთხოვთ: როცა შტოზედა
ამწვანდებიან ფოთლები,
ჩამოწყვეტილსა დეროზე
ამოფეო ჩიება კოკრები,

გაზაფხულს პირზე ღიმილი
 აუმღერდ-აუყვარდება
 მწუხრზე დაუკრავს ბულბული,
 ცისკარზე გამოთენდება;

ნიავეს უთხარით დამღეროს
 მაშინ ჩემს კუბოს ღხენითა,
 ჩამოწყვეტილი ფოთოლი
 დანამეთ დილის ცრემლითა!

ასე მოსთქვამდა ფოთოლი
 ჩამქნარი, კემნიანი,
 ჩამოწყვეტილი შტოზედა
 და ბედ-უკუღმართ გზიანი!

ქარი კი ისევ კენესოდა,
 ქარი კი ისევ სიოდა,
 და შორს... შორს... ცრემლის ტალღებზე
 ფოთოლი გადადიოდა!

ი. ევლოვილი.

* *

ცატურაიანსა, რუსულიანს.

[ვუძღვნი არამ მაკარიანს]

მე კი არ ვმღერი... ჩემ მწარე ხმებში
 შეუბრალებლათ გვემულ-დევნილი
 თავის ტანჯვასა, თვის გულის ტკივილს
 მოუთხრობს ხალხსა ნაღვლით პურობილი.

მე კი არ ვმღერი მწუხარ ჰანგებით,
 სევდით მოცული ჩემი ძმა მღერის,
 იმ ხმებში ისმის მრავალ ხნის ტანჯვა,
 მით ჩემი ხალხი თვის ბედზე კენესის...

მე კი არ ვმღერი... ჩემ ჩანგის ხმები
 ჩივის ქვეყნიურ მწუხარებაზე,
 ბოროტებისა უმანკო მსხვერპლზე,
 ქვეყნათ მოფენილ უმართლობაზე!..

კ. გოგოლაძე.

ნაკერძკლები

მსოფთო ჰქუხდა.— წყალ-წადებუფი ღოცდა.— რაკვარ უნდა
 გაკმრავდეთ.— თსურგეთის სიკვდილი.

კარგა ხანია, რაც „ივერიის“ რედაქციამ თავის რედაქციაში „ძლიერი“ ბატარეა მოაწყო. ზარბაზნებს პირი უქნა სომხებისაკენ და ისე შეუსვენებლათ აქეჭებდნენ და აქუხებდნენ ბ-ნი „ივერიელი“; რომ ყურთა სმენა აღარ იყო არა თუ თფილისში, მთელს საქართველოშიაც-კი. „კომლი“ მოიცო არე-მარე, საშინელი ბული დადგა! „ეჰე, ასე უნდა მაგ სომხებს, მაგ გაიძვერებსო“, შოისმოდა აქეთ-იქედან. უფრო გულ-ჩვილნი, შემბრალებელნი კი სომხების საცოდაობით იწოდენ; რაც უნდა იყვენ, მაინც აღამიანები არიან, ასეთი შეუბრალებლობა, ასეთი სასტიკობაც არ ვარგა, ხომ დაწყდებიან საცოდავებიო,— ამბობდნენ. მაგრამ „ივერია“ მაინც თავის გზით მიდიოდა. „ჰკა, მაგათო“! ბრძღენიანდა და ზარბაზნებიც ქექდა და ჰქუხდა, „კომლი“ კომლს ემტებოდა*), არე-მარეს ეფინებოდა და აზნელებდა. დადგა

*) აი, სწორეთ ამით აიხსნებ, რომ ამ ბოლო დროს წვიმებმა დაუხსირა. „ივერიის“ ზარბაზნების „კომლი“ ცას მოედო და საქართველას ყოველ კუთხიდან იწერებინ გამუდმებით წვიმსო.

ასოთ-ამწყობი.

დღე განკითხვისა, დღე არჩევნებისა და აი აქ გამოიოკვა, რომ „ივერიის“ ზარბაზნები მხოლოდ ჰქუხდა, ხმაურობდა, ბოლს აყენებდა და მეტი არაფერი. თუ ეს ასე მოხდა, თუ ჩემი ზარბაზნების ხმა მხოლოდ ხმად დარჩა, ეს სრულიად არ არის ჩემი ბრალი, ეს იმ წყვეული ჩიმიშკიანის ბრალია, რომელმაც 107 სომხის შემწევობით ჩემს ზარბაზნებს პირი ცალიერ სივრცისაკენ აქნიაო,— გულ-დაწყვეტილათ გვაუწყა „ივერიის“ მე-205 №-მა. „ცნ. ფურცელი“ კი ჩიმიშკიანზე არას აზობს და დამარცხებას სავსებით „ივერიას აბრალეხს: რატომ ვერ მოახერხე და 230 ქართველ ამომრჩეველთაგან ნახევარს მაინც რატომ ვერ მოუყარე თავიო! ჰმ! სად ეცალა „ივერიას“ ქართველ ამომრჩეველთა თავის მოსაყრელათ, ის ზარბაზნებს ცლიდა, გაზეთის ფურცლებზე ქექდა და ჰქუხდა და განა ეს საქმარისი არ იყო?!..

* *

თუ „ივერია“ ზარბაზნებს ცლიდა, გრგვინადა „ჰკა სომხებსო“, „ცნ. ფურცლის“ კალამი „ცნ. ფურ.“-ის რედაქციაში მუხლებზე იდგა და ხელებ აპურობით ლოცულობდა სომხთა წინაშე: მოგვეც ჩვენ, ბ-ნო სომხებო, ქართველნი ხმოსანი, მოგვეც არა ჩვენი ქიანების მიხედვით, არამედ ჩვენი რაოდენობის მიხედვით! ხელ-აპურობილი მივმართავ ზნობასა თქვენსა და გთხოვ თქვენ სამართლიანობასა და არა კანონიერებასა. მარა ლოცვა ესე მხურვალე არ შეიწყნარეს სომხებმა, წყალს გაიტანეს და არ მოგვეცეს იმდენი ხმოსნები, რამდენსაც კალამი ითხოვდა. სომხებისადმი მიმართულ ლოცვასთან, ბ-ნმა კალამმა ქართველებსაც გვთხოვა ერთი მცირე რამე: გამდიდრდით და გამრავლდით, თქვე ოხრებო, და მიშინ სომხების წინაშე ლოცვაც არ დაგვეკირდებო!

* *

მარა, თუ რანაირად შეიძლება ჩვენი გამრავლება, ამაზე კალამმა არა გვითხრა რა. სამაგიეროთ ეს გვაუწყა „ივერიის“ 207 №-ში პეტრე მაჭავარიანმა**). უმაღლესად ნაბოძები 20,000 მანეთით დავიარსოთ ქალთა სკოლა და ის ყმაწვილები, რომლებიც ახლა ციკლს არ ირთავენ, შეირთვენ ამ სკოლაში კურს დასრულებულთ და გავმრავლდებით ვითარცა ისააკ და იაკობ და მაშინ ბედსა ჩვენსა არ დაჰყვეს ძაღლი იგი ქეციანო. ამავე პეტრემ გვაუწყა, რომ ახლანდელი ჩვენებური გლეხის ოჯახი სანატრელ მდგომარეობაშია, „იქ ცოლ-ქმარნი ქირსა და ღხინში განუყრელნი მეგობარნი არიან და აი ეს არის მიზეზი, რომ გლეხებმა წინ გაგვისწრო. ღმერთი შეეწიოთ, ჩვენ ეს არ უნდა შეგვეხარბოს, მხოლოდ სასურველი კია, რომ ოჯახობაში ჩვენც მათ დავემსგავსოთ და წერა-კითხვის ცოდნის ზედ დამატებით მათზე წინ წავიდეთ, ამას მივალწვეთ ქალთა სკოლის დაარსებით“. ამნაირათ, პეტრეს აზრით, გლეხის ოჯახს თავად-აზნაურის ოჯახისთვის გაუსწრია, პლებსის აზრით წინამდამდეგი გამოდის.

ძალეი ზატრანს ვეღარა ცნოსს
 „ივერიის“ სამთავროში,
 მღებში პეტრეს უმარტუხებს,
 პეტრე ზღებს სცემს „ქენხერაში“,
 რედაქტორი სხნის ურტეაშს,
 ჩაფრქნია თმა და წვერში,
 და ამ გვანათ „ივერია“
 „ივერია“ იწვევს ომში!..

* *

რამდენადაც გურიის სოფლები წინ მიდის, იმდენათ გურიის ქალაქი ოზურგეთი უკან „მოჩხაკუნობს“. ოდესღაც

***) და თუ რანაირათ შეიძლება ჩვენი გამდიდრება, ამის შესახებ კალამი, თურმე, ახალ ლოცვას აზნალებს, ასოთ-ამწყობი.

ბ-ნმა, თავდგირიძემ განიზრახა, რომ ოზურგეთს არა თუ გუ-
რის სოფლებისათვის, თფილისისათვისაც გაესწრო. და შე-
ცოცდა რა ამ მიუწოდებელ სიმაღლეზე ბ-ნი ნიკო, დაიწყო
ამ მიუწოდებელ სიმაღლიდანვე „საქმეების კეთება“. პირველი
საქმე მით დაიწყო, რომ შეკვეთილს მოუნდომა ოზურგეთზე
მიწერა*). მერე პროგნოზიას მერე „რჩევებს“ მიჰყო ხელი ო
„პატარა საქმეები“ კი, როგორც ქუჩების შეკეთება, ქალაქის
განათება და სხვა ამგვარები სულ დიდ „რჩევებში“, დიდ საქმე-
ებში გაიპარა. დიდხანს „ირჩია“ ნიკომ მიუწოდებელ სიმაღ-
ლიდან, ბევრი ვხვდნა ოზურგეთი: შენი ქირიმე, კნიაზ, ჩა-
მობრძანდი მიწაზეო, მარა თქვენც არ მომიკვდე! იმდენი იწია
ზევით-ზევით, იმდენი იწია, რომ ოზურგეთის საზღვარს კაი
ხანია რაც გადაცდა და ახლა პეტერბურგს მიაღწიაო ამბო-
ბენ. ერთ-ერთი დაუფასებელი სიკეთე რაც ნიკომ ოზურგეთს
შესძინა, ეს ის იყო, რომ თეატრისთვის ოზურგეთის „ბაღში“
თეატრი შენობისათვის ბოძები ჩაასო და სანამ ნიკო ოცნებიდან
მიწაზე ჩამობრძანდებოდა, მანამ ის ბოძები მისგან მოძულეებულ
მიწას კიდევ შეეჭამა, დაეღობა! ნიკოს შემდეგ ოზურგეთს
ბ-ნი დ. ცეცხლადე მოეწვინა. ცეცხლადემ კი მით ისახელა
თავი, რომ ოზურგეთის ნოქრები დაუღალავ მანქანებათ გა-
მოაცხადა და როცა ნოქრებმა თხოვნა მიაართვეს—მანქანები
არ ვართ, მართალია ნოქრები ვართ, მარა ჩვენც ადამიანები
ვართ და კვირა უქმე დღეებში შეგვასვენეო—ეს თხოვნა ცე-
ცხლადემ ცეცხლს მისცა. თეატრის შენობის აგებისათვის არა-
ვინ არ ზრუნავს, ბიბლიოთეკა უკიდურეს მდგომარეობაშია;
საზოგადო საქმისათვის ოზურგეთში არავინ არ იწუხებს თავს
და ამნაირათ:

ოზურგეთი მიიგვალა,
შამთავართ ხელი თავზე,
ნიკო არ გუყავს, თვარა იგი
ამისთანა სანახავზე,
სადაც უნდა ყოფილიყო,
მიწაზე თუ შადლა ცაზე,
ერთს „რჩეს“ მანაც წარმოთქვამდა
ოზურგეთის დამახსვასზე!

ნაპერწკალი.

ბიძია არაიფო და ლანა.

(გაგრძელება).

პატარა გოგომ ნაღვლიანათ ჩაიქნია თავი და ბოლოს
ქვითანით და მხრების ჩეჩით ნელა მიუგო:

— თავ-სახვევი... დავკარგე!.. მაგილომ მომიტანა ბაზ-
რიდან... მტრედის ფერია, ყვავილებიანი, მოვიხვიე... და
დავკარგე.—და ხელახლათ უფრო უმატა გულ-ამოსკვნილ ტი-
რილს და მკენესარე ხმით გმინავდა უცნაურს „რ-რ-რ-ს“...

რა იგრძნო ლენკამ, რომ იგი უძლეურია და მას ვერ
უშველინ, შეშინებული უკან დადგა და დაფიქრებულმა ნაღ-
ვლიანათ შეხედა ჩამობნელებულ ცას. იგი იტანჯებოდა,
ძლიერ ებრალეებოდა პატარა გოგონა.

— ნუ სტირი!.. იქნებ აღმოჩნდეს სადმე...—ნელა ჩაი-
ლაპარაკა ლენკამ, მაგრამ, რა შენიშნა, რომ ყმაწვილს არ
ესმის ნუგეშის-ცემითი სიტყვები, უკან გადა და გაიფიქრა,
რომ თავსახვევის დაკარგვის გამო მამა კარგ დღეს არ დააყე-
ნებსო. მაშინვე თვალ წინ წარმოუდგა, რომ პატარა ქალს
სცემს მამა-მისი, დიდი და შავი ყაზახი; გოგოც უშიშსაგან
და ტკივილებისაგან თრთის, ცრემლათ იღვრება და მამას
ფეხებში უვარდება.

*) ამბობენ; ეს რომ პეტერბურგშია ბ-ნი ნიკოს, მერე ბათუმსაც მი-
წერდა ოზურგეთსო.

ლენკა ადგა და წავიდა, თანის თვეს იგი მკვდრათ რა
შეურაცყოფილათ გრძნობდა, რადგან ვერაფრით ვერ შეიძ-
ლო ეშველა პატარა გოგოსთვის; მაგრამ, ხუთიოდე წაბრჯის
გადადგმის შემდეგ, ხელახლათ მობრუნდა, გაიხრდა მის წი-
დაპირ, მიეყრდნო ღობეს და ცდილობდა ეთქვა რამე ალერ-
სიანი და ტკბილი... რაღაც მიზეზით ვერც ალერსიან სიტ-
ყვებს იგონებდა

— პატარა ქალო, წადი შინ! ნუ სტირი! წადი სახლში
და უთხარ, როგორც იყო. დავკარგე-თქო. რა ძალიან დარ-
ღობ?...

ეს სიტყვები მან ნელის, გულ-მტკივნეულის ხმით სთქვა
და, რა დაამთავრა აღშფოთებული ამოძახილით, გაუხარდა,
როდესაც დაინახა, რომ იგი ზეზე დგებოდა.

— აი, ვგრე კარგია!..—სთქვა მან ღიმილით.—წადი,
აბა. თუ გინდა, მეც გამოგყვები და ყველაფერს ვუამბობ
თქვენებს. მოგეკომავები, ნუ გეშინიან!.

ლენკამ ამაყათ შეაძრია მხრები და ირგვლივ მიიხედ-
მოიხედა.

— საქირო არ არის...—წაიჩურჩულა გულ-ამოსკვნილმა
პატარა ქალმა და იწყო მტერიანი საცმელის ბერტყა.

— წამოვალ!—ხმა-მალლა უთხრა ლენკამ და ქული გაი-
სწორა.

ლენკა ეხლა ფეხებ გადაგული იდგა მის წინ და ამის გა-
მო მისი კონკები მამაცურათ გამოიყურებოდნენ. ის ჯოხს
მაგრა აკაკუნებდა მიწაზე და დაჟინებით მისიერებოდა პატა-
რა ქალს; მის დიდს დაღვლიანს თვალეში-კი ისეთ-გვარი
ამაყი და გულადი გრძნობა გამოჰკრაოდა...

პატარა ქალმა ცალი თვლით შეხედა მას, თან პირისა-
ხეზე ცრემლებს იწმენდა; შემდეგ ხელახლათ ამოიხრა და
სთქვა:

— საქირო არ არის... ნუ წამოხვალ... დედილოს
მთხოვრები არ უყვარს.

და მოშორდა მას, ორჯერ-კი მოიხედა უკან.


ლენკას ნაღველი მოაწვა. მან შეუშინებლათ, ნელი მოძ-
რაობით შესცვალა თვისი მდგომარეობა, ხელ-ახლა მოიკუხა,
დაშოშმინდა და, რა გადიგდო მხარზე თვისი გულა, რომე-
ლიც აქნობამდის ხელზე ეკიდა, მიაძახა პატარა ქალს, რო-
დესაც მან ვიწრო გზაზე გადაუხვია და ის იყო ეფარე-
ბოდა:

— მშვიდობით!

სიარულის დროს ქალი მისკენ მობრუნდა და მიიმალა.

ირგვლივ მოწყენილობამ და სიბნელემ იმატა; საღამო
ახლოვდებოდა და ჰაერში იდგა ის განკერძოებული მძიმე
სუნე, რომელიც ელვა-ქექის მომასწავებელია. მზე უკვე დაბ-
ლა იყო დასული და ვერხვთა მწვერვალნი ოდნავი სიწითლით
აელვარდენ. მაგრამ მაღალი და უძრავი ვერხვები, რომელთა
ტოტებიც საღამოს ჩრდილებს მოეცვათ, ამ ჩრდილების გამო
უფრო დახშირებულყვენ, უფრო ამაღლებულყვენ და ლენ-
კას ისე ეწვევებოდნენ, თითქოს დაფიქრებულან და რაღაც
საშიშარ რამეს მოელოიანო... მათ ზევით ცაც ბნელდებოდა,
ხავერდისებური ხდებოდა და, თითქოს, ძირს, დედი-მიწისკენ
იწვოდა. სადღაც შორს ხალხი ლაპარაკობდა და კიდევ უფ-
რო შორს, მაგრამ სხვა მხრით—მღეროდნენ. თითქოს ეს ბო-
ხი და ჰაერში განუწყვეტლივ მრყეველი ნელი ხმებიც გაე-
ლინთუელი არიან მძიმე სუნითაო.

ლენკა უფრო დანაღვლიანდა და კადეც რიდასიც ეში-
ნოდა. მას ბიძისთან წასვლა მოუნდა, მიიხედ-მოიხედა თვის
გარშემო და სწრაფათ გასწია წინ ქუჩაში. მოწყალეების
თხოვნა მას სრულებით არ სურდა. იგი მიდიოდა და გრძნობ-
და, რომ მკერდში გული ასე ხშირათ, ხშირათ უცემს და,



რომ მას, როგორღაც სხვაფრივ, ეზარება ფიქრი და სიარული... მაგრამ პატარა ქალი არ გამოდიოდა მისი გონებიდან. იგი ფიქრობდა: რაა ეხლა მის თავსაო? მივიდა იგი სახლში? მდიდარია იგი?.. თუ ის მდიდარი სახლიდან არის, მას ცემას დაუწყებენ; ყველა მდიდრები—ტუნწები არიან; ხოლო თუ ღარიბია, მაშინ, იქნება, არც-კი... ღარიბ სახლებში უფრო უყვართ ბავშვები, რადგან მათგან მუშაობას მოელოან. ეს ფიქრები ერთი მეორის შემდეგ უტრიალვდნენ მას თავში, ჩასციებოდნენ და აღარ ეშვებოდნენ; ყოველი წამის შემდეგ მომქანცველი და მქენჯნავი გრძნობა, რომელიც მის ფიქრთა თანა მგზავრი იყო, უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა და უფრო მეტის ძალით იპყრობდა მას.

სალამოს ჩრდილებიც უფრო ხშირდებოდნენ და სულის შემავებებელნი ხდებოდნენ. გზაში ლენკას ხედებოდნენ ყაზახები და მათი ქალები და ისე გაუფიქრდნენ ხოლმე გვერდით, ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგანაც უკვე მიეჩვივნენ რუსეთიდან გადმოსულ აუარებელ დამშვულებს. იგი ხარბაკათ გაუფიქრდა ხოლმე გვერდით ამ მადლარ, ზორბა ხალხს და სწავათ მიაბიჯებდა ეკლესიისაკენ, რომლის ჯვარიც მის წინ ხეების მწვანეში ელვარებდა.

მას წინ ეგებებოდა დაბრუნებული ნახირის ხმაურობა. აი დაბალი და განიერი ეკლესიაც, მისი ხუთი გუმბათი მტრედის ფრათ არის შედებილი, გარს ვერხვები აქვს ჩარიგებული, რომელთა წვერებიც, ჩამავალი წისის სხივებით მოცულნი და მწვანეში ვარდის ფერ ოქროსავით მოგლვარენი, ისე მალა აწეულან, რომ ჯვრებს აცილებიან.

აგერ ბიძიაც მხლათ იბუზება კარი-ბქესთან, გუდას დაუძძიმებია და მოკაკულა, შუბლზე ხელი მიუდვია და აქეთ-იქით იმზირება.

ბიძიას უკან მძიმე,—ნაბიჯით ილსაუღი მოდის, "შუბლზე ქუდი ჩამოუფხეტია და ხელში ჯოხი უჭირავს.

— რა, გუდა ცალიერია?—კითხა ბიძიამ შეილი-შვილს ეკლესიის გლავანთან მისვლის უმაღ.

— მე-კი აი, რამდენი ვიშოვე!—და კვნესით გადმოაგდო მხრიდან მაგრათ გატენილი ტილოს ტომარა.

— უჰ!.. აქ ბლომთ ილღვიან! ძალიან კარგათ!.. ჰა, შენ ვგრე გაბუტული რათა ხარ?

— თავი მტკივა...—ნელა წაიხმურა ლენკამ, თან ბიძიას მახლობლათ მიწაზე დაეშვა; ბიძია ზურგით მიყრდნობოდა აგურების ტროვას და სიხარბის და სიანოვნების გამო-მეტყველებით ხელს უსვამდა შეგროვილს მოწყალებას.

— ჰა?! დაილაღე... მოიქანცე!.. აი ეხლავე წავალთ ღამის გასათევათ. რა ქვიან იმ ყაზახს? ჰა?

— შავი-ანდრია.

— სწორეთ, შავი! ვიკითხოთ. სადა დგას შავი-ანდრია-თქო? აგერ ჩვენთან კაცი მოდის, იმას ვკითხოთ... გამარჯობათ, კეთილო ადამიანო!

ყაზახი მათ ახლო მივიდა და ბიძიას მისალმების პასუხათ ნელა დაილაპარაკა:

— თქვენც გაგიმარჯოთ!

შემდეგ მან ფეხი განზე გადა, ზთხოვრებს მიაპყრო თვისი დიდი თვალები და ჩუმით აიშმუნა.

ლენკამ მას გამომცდელის თვალთ დაუწყო ცქერა; ბიძია, თითქოს ვკითხება რასმეს, ისე ახამხამებდა თვალებს; ყაზახი სდუმდა. ბოლოს ნახევრობამდის გამოყო ენა და უღვაშის წვერს თამაშობა დაუწყო. შეითრია პირში უღვაში, დაუწყო ღეჭვა, ხელ-ახლათ გამოაგდო იგი პირიდან და ბოლოს, შესწყვიტა რა მომქანცველი სიჩუმე, ზარბაკათ თქვა:

— აბა... წავიდეთ!

— რათა?—შეკრთა ბიძია.

ლენკას არსებაში რალამაც შეითამაშა.

— საქირა... ნაბრძანებია. აბა, ჰა!

მან ზურგი შეაქცია იმათ და წასვლა დაიწყო, რა მოიხედა უკან, დაინახა, რომ ორივენი ადგილიდან არ დაძრულან, მან ხელ-ახლათ, ახლა-კი უკვე სიწრაზით შეპყვირა:

— რატომ არ მოდინართ?!

მაშინ ბიძია და ლენკა სწრაფათ ადგენ და გაჰყვენ უკან.

ლენკა დაშტერებით უცქეროდა ბიძიას და, რა დაინახა, რომ მას ტუჩები უთრთის, შეშინებული იხედება აქეთ იქით და ხელს სიჩქარით აფათურვებს ილღიაში, იგრძნო, რომ ბიძიას კიდევ რალაც უცვლქნია, როგორც მაშინ ტამანში. როდესაც მან ტამანის ისტორია წარმოიდგინა, შეეშინდა და ეხიზლა. იქ ბიძიამ თეთრეული ასწაპნა ეხოლან და ორივენი დაიჭირეს. დასცინოდნენ, აგინებდნენ, სცემდნენ კიდევ მათ, ბოლოს კუკუ კრეს და სოფლიდან იგინი ღამე გამორჯვეს. ღამე ისეთი ბნელი იყო... ის ღამე მათ სადღაც ქვიშაში, სრუტის ნაპირას, გაათიეს და მთელი ღამე ზღვის გრიალი ესმოდათ... მოხეტოილ ტალღათაგან ქვიშა შრიალებდა.. ბიძია-კი სულ კვნესოდა, ჩუმი ხმით ვევედრებოდა ღმერთს, შემწვობას სთხოვდა, თან თავის თავს ქურდს უძახდა.

— ლენკა!..

ლენკას მუჯღუფგუნე მოხდა მკერდში და ამის გამო იგი შეტბა; მან შეხედა ბიძიას. ბიძიას სახე ასთრთოლებოდა, უფრო გაშრობოდა და ყომრალი ფერი მიეღო.

ყაზახი ასე ხუთი ნაბიჯით დაწინაურებული წინ მიდიოდა, ჩიბუხს სწევდა, ჯოხით დელხვინის თავებს თესლს აყრევინებდა და მათკენ არ იხედებოდა.

— აბა, დაიქი... გადააგდე... ხმელ სხვილ ბალახში... ხოლო შენიშნე, სადაც გადააგდებ... შემდეგ ვიპოვოთ... ისევ...—ოდნავ წაიხურჩულა ბიძიამ, სიარულის დროს შეილი-შვილს მჭიდროთ მიეკრა და რალაც დახვეული მჩვარი ჩაუტენა ხელში.

ლენკა შიშისაგან შეტბა, მთლათ მისი არსება ერთბაშათ სიცივემ მოიცვა, განშორდა ბიძიას და ღობის ახლო მივიდა, რომლის მახლობლათაც ხშირი, მსხვილი ბალახი იყო. იგი გაფაციცებით მიჩერებოდა ყაზახის განიერ ბეჭებს, შემდეგ გვერდზე გაიწვდინა ხელი და, რა დახედა ზედ, მჩვარი მსხვილ ბალახებში ჩააგდო... ჩააგდო და თავზარდაცემული შეჩერდა.

დაგარდნის დროს მჩვარი გაიხსნა და ლენკას თვალებში გაიციალა მტრედის ფერმა, ყვავილიანმა თავ-სახვევმა. რომელიც თვალის დახამხამების უმაღ, პატარა მტროალი გოგოს სურათმა დაჩრდილა. იგი მას ცოცხალივით წარმოუდგა თვალ-წინ; დაჩრდილა ყაზახიც, ბიძიაც და ყველაფერიც, რაც-კი მათ გარშემო იყო... მისი ქვითინი ლენკას ყურებს ხელ-ახლათ შეესმა გარკვევით და მას ეჩვენა, ვითომც მის წინ, მიწაზე, სცვივიან ცრემლთა ნათელნი ცვარნი, რომელნიც მთელ მსოფლიოს ფარმვენ და მკერდს სიცივით უგსებენ...

ამ გვართ მიყვა ის ბიძიას უკან საყრილობო ადგილას, გაიგონა ყრუ ყრიამული, რომლის გარჩევაც არც შეეძლო და არც სურდა; თითქოს ბურუსშიაო, იმ გვართ ხედავდა, როცა გამოყარეს მაგიდაზე ნაჭრები ბიძიას გუდიდან. ყველა როგორღაც მოქმუნხულები და დაღვრემილები იყვენ, წყვილი-დით მოცულნი ქანაობდნენ, თითქოს რალაც საშიშ რამეს იმუქრებინათ... შემდეგ ბიძიამ, რომელიც ხრინწიანი ხმით

უახლოვდებიან ლენკას და ბიძიას, თითქოს ამათი გაქცევა-ტა სურთო, ხან საღაც მიდიან და თავიანთი სარკმლებით, თითქოს მათ უყინიანო... უცბათ, ერთი სარკმლიდან ხმა მალლა მოისმის: „ქურდები! ქურდები! ქურდ-ბაცაცა, პატარა ქურდი!..“ ლენკა ცალი თვალით გვერდზე გაიყურება და სარკმელში ხედავს იმ პატარა ქალს, რომელიც წინათ მტირალი ნახა და მისი გამოსარჩლება სურდა... მან თვალი მოკრა ლენკას და ენა გამოუყო.

მის ლურჯ თვალთაგან გამომკრძალი ბოროტება და დაცინვა ლენკას ნემსებივით ჩხვლეტავდნენ...

ეს სურათი აღუდგა ბავშს მესხიერებაში და თვალის დახამხამების უმალ გაქრა, მას მხოლოდ ბოროტების გამო-მეტყველი ღიმილი დაუტოვა, რომლითაც იგი ბიძიასკენ მიიქცა.

ბიძია განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, ლაპარაკს მხოლოდ ხველა აშლიდებდა, ხელებს აქნევდა, მხიარულათ უღიმოდა რაღასაც, თავს აცანცარებდა და ოფლს იწმენდა, რომელიც მისი სახის ნაოჭებიდან სხვილ წვეთებთ აღმოხეთქილიყო.

მთვარე დაფარა მძიმე, დასეულმა და დაბრანძულმა ღრუბელმა და ლენკა თითქმის ვეღარ ხედავდა ბიძიას სახეს... მაგრამ ფიქრში წარმოიდგინა თავის წინ მოტირალი პატარა ქალის სურათი და ბიძიას ამოუყენა გვერდში, თითქოს ორივეს ზომავს... უძღური, ხარბი და დაფლეთილი ბიძია, იმ პატარა მოტირალ, მისგან შეურაცხყოფილ, მაგრამ ჯან-წრთელ, ნორჩ, ღამაზ ქალის წინ, მას ეჩვენა უყარ-გისათ და თითქმის იმ გვართვე ბოროტათ და საძაგლათ, როგორც „როკაპი“ ზღაპარში. ეს როგორ შეიძლება რათ აწყენინა მან პატარა ქალს? იგი მისი დეიძლი არ არის...

ბიძია-კი ჭყაოდა.
— ათი თუმანი რომ... მოვაგროვო!.. მაშინ დამშვიდებულნი მოვკვდები...

— ჰა!.. — ლენკას არსებაში რაღაც იფეთქა. — კმარა, გაჩუქდი! მოკვდები, მოკვდები... აი, კი არა კვდები და... ქურდობა!.. — შედრიალა ლენკამ და მთლათ ათრთო-ლელული წამოიჭრა ზეზე. — შე ბებერო ქურდო!.. უ-უ! — აქ მან პატარა, გამხმარი მუშტი მოუღერა ბიძიას და ხელ-ახლათ მძიმეთ დაეშვა მიწაზე, თან კბილებში ჩაილაპარაკა: — ბავშს მოპარე... ახ, კარგია!.. ბებერო ხარ, იქითაც-კი... საიქიოს არ მოგიტყვებენ მაგ საქციელს!..

უცბათ მთელი მინდორი შეირყა და თვალის მომჭრელი სინათლით მოცული გაგანიერდა... მისი დამფარავი წყვილიანი შეინძრა და ერთის თვალის დახამხამების დრომდე განქრა... გაისმა ჭექა-ქუხილი და გრგვინათ გასრიალდა მინდორ ზე-ვით, შეარხია იგიც, ცაც, რომელიზედაც ეხლა დაფრინავდა შავ ღრუბელთა ხროვს. რაშია მთვარე შთანთქმულიყო.

ჩამობნევიდა. საღაც, კიდევ, შორს, ჩუმათ, მაგრამ მრისხანეთა გაიფლავა და ერთი წუთის შემდეგ ხელ-ახლათ დაიგრილა ქუხილმა... შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დასასრულს, თითქოს, ბოლო აღარ ექნებოდა.

ლენკა პირ-ჯვარს ისახავდა. ბიძია ჩუმათ და უძრავათ იჯდა, თითქოს იმ ხის ტოტს შეხორცებია, რომელზედაც მიყრდნობიანო.

— ბიძია!.. — წაიხურჩულა ლენკამ, რომელიც შიშით ძლიერ იტანჯებოდა, რადგანაც ქუხილს კიდევ მოელოდა. — წავიდეთ სოფელში!

ცა ისევ შეირყა და, რა აფეთქდა ისევ მტრედის ფერი აღით, მიწაზე ღითონის ძლიერი მენი ჩამოაგდო. გვერდზე-ბოდათ, ათასი ფურცელი რკინისა ერთმანერთს ხედებიან და მიწაზე ცვივიანო...

— ბიძია!.. — შეყვირა ლენკამ.

— რა იყო... ჩემო პაწია შვილი-შვილო! გეწინიან... ჰა!?! — ხრინწიანი ხმით დაილაპარაკა ბიძიამ, ისე, რომ არ გან-ძრეულა.

მის სიტყვებში სიმწარე, ტკივილი და დაცინვა იხატე-ბოდა. ლენკას იმე ეჩვენა, თითქოს ეს სიტყვები სხვა ვინმემ სთქვაო.

სხვილი წვიმა დაუშვა და ისეთ ნაირათ საიდუმლოთ შრიალებდა, თითქოს, რაღაც ამბის შესახებ, წინ და წინვე იტყობინებო... შორს — ეს შრიალი უკვე ფართო ხმათ გა-დაიქცა, — აქ კი, ბიძია-შვილი-შვილს ახლო, ყოველი წვეთი მიწაზე დაცემის დროს მოკლეთ და ნაწყვეტათ ხმაურობდა, გამოუხმობლივ კვდებოდა. ჭექა-ქუხილი უფრო ახლოვდე-ბოდა და ცა ხშირათ ეღვზნებოდა.

— არ წამოვალ სოფელში! დამეხსენ, მინდა... რომ მე, ბებერი ძალი და ქურდი, აქ წვიმამ დამახრჩოს... და მეხმა მომკლმს!.. — სთქვა სულ-შეგუბებულმა ბიძიამ. — არ წამოვალ! მარტო წადი... აგერ ის, სოფელი... წადი!.. მე არ მინდა, რომ შენ აქ იჯდე... გასწი!.. წადი, წადი!..

ბიძია უკვე ყვიროდა ყრუ და ხრინწიანი ხმით.
— ბიძია!.. მომიტყევე!.. — შევევდრა ლენკა, თან მისკენ მიიწია.

— ჰა!.. არ წამოვალ... არ მოგიტყვებ... შვიდი წელი-წადი გილოლიავე!.. ყველაფერს შენთვის... და ვცოცხლობ-დი... შენთვის... მე განა მეჭირვება რამე?.. მე რომ ვკვდები... ვკვდები... შენ კი მეთუნებე — ქურდოო... რათ ვარ ქურდი?.. შენთვის... ეს ყველაფერი შენთვის... ა-ა, აიღე... აიღე... დაიქი... შენს სიცოცხლეში... მთელს... ვაგროვებდი... კი-დეც ვიპარავდი... ღმერთი ყველაფერს ხედავს... მან უწყის რომ ვქურდობდი...

უწყის... იგი დამსჯის მე... ი-იგი არ შემეწყალებს მე, ბებერ ძალს... ქურდობის გულისთვის. უკვე კიდევ დამსა-ჯა... უფალო! დამსაჯე მე შენ! ჰა? დამსაჯე?.. ბავშის ხე-ლით მომკალი მე შენ!.. ნამდვილია, უფალო!.. სწორია!.. სამართლიან ხარ შენ, უფალო!.. მოვდივარ შენ სამსჯავრო-ში... მოუფლინე ჩემ სულს... ოჰ!.. აი... ყველაფერიც...

ბიძიას ხმა გადაიქცა გულ-გამგინირავ წვილ კვილათ, რომელიც ლენკას არსებას შიშით ავსებდა.

მინდვრისა და ცის შემარყველი ჭექა-ქუხილის ხმები ისეთის სიჩქარით გრგვინავდნენ, თითქოს მათ სურთ დედა-მა-წას ძალიან საჭირო რამ უთხრანო და ერთმანეთის ჯიბრით, აბა რომელი გაასწრომსო, დაუდუმებლივ ღრიალვდნენ. ელვა-ჭექისგან დაფლეთილი ცა თრთოდა, თრთოდა მინ-დორიც, რომელიც ხან ლურჯი ცეცხლით აღევზნებოდა, ხან რთმკვლოდა ცრე, რჩმე, მკვდრო მის ესე შენეიწროვებლ წყვილიაშმა. ხან ელვა შორეულ სივრცეს ანათებდა. ეს შო-რეული სივრცე თითქოს გაურბის ამ ღრუბლს და ხმაურობა-საო...

წვიმა დაუშვა...

ლენკა იზნიდებოდა შიშისაგან, სიცივისაგან და დანა-შაულის რაღაც გრძობისაგან, რომელიც ბიძიას ყვი-რილმა დაბადა ის იცქირებოდა თვისი ფართოთ გახელილი თვალებით და ეშინოდა არ დაეხამხამებინა იგინი მაშინაც კი როდესაც მის დასველებულ თავიდან ჩამომდინარე წვეთები შიგ უვარდვოდნენ, ის ყურს უგდებდა ბიძიას ხმას, რომე-ლიც ძლიერი ხმების ზღვაში ინთქმებოდა.

ლენკა გრძობდა, რომ ბიძია უძრავათ ზის, მაგრამ მას ეჩვენებოდა, რომ იგი უნდა დაიღუპოს, წავიდეს სადმე და ის აქ მარტო დასტოვოს. იგი თვისდა შეუძნეველათ ნელა მიხობდა ბიძიასთან და, როდესაც მას ნიდაყვით შეეხო, შეხ-ტა, რადგანაც მისგან რაღაცას მოელოდა...

ელვამ ცა გაანათა, გამოჩნდნენ ორივენი, რომლებიც ერთათ ისხდნენ, პატარაებათ მოჩანდნენ, მოკუზულიყვენი და ხეებისაგან ჩამოდენილი წყლით სველდებოდნენ.

ბიძია ჰაერში იქნედა ხელს და სულ ბუზღუნებდა; რგბ უკვე დაბალთლიყო და გულში ყელში ებჯინებოდა.

ლენკამ რომ მას სახეზე შეხედა, შიშისაგან შეყვირა... ელვის ლურჯ კაშკაშში იგი მკვდარივით მოჩანდა და მისი აბრიალებული თვალები სულელურათ გამოიყურებოდნენ.

— ბიძია!.. წავიდეთ!.. — შეწყმუტუნა ლენკამ და თავი მუხლებში ჩაუკო:

ბიძია დაიხარა მისკენ, მოხვია თვისი ძვალ-ტყავათა ქცეული და წვრილი ხელები, გულში მაგრათ მიიკრა და უცბათ, ხაფანგში გაბმულივით, ძლიერათ და შემხარავათ შედმუვლა.

ამ ღუილის გამო თითქმის სიგიჟემდე მისული ლენკა გამოუხსნა მას ხელიდან, წამოხტა ფეხზე და თვალებ დაქვეტილი სადღაც, წინ გაქანდა; გზაში იგი ხან წაიქცეოდა, ხან ადგებოდა და უფრო წინ მიდიოდა წყვილადში, რომელიც ელვის ლურჯ ბრწყინვისაგან ხან ქრებოდა, ხან ხელახლა მოიკვებდა ხალმე შიშისაგან ქუთა-დაბნეული ბავშს.

ქუხდა და უფრო მკაცრათ და ხშირათ ელავდა. წვიმა კი ასე ცივათ, ერთმნივათ, ნაღვლიანათ ხმაურობდა... თითქოს მინდორში ამ ხმაურობის, ელვის და ქუხილის გაჯავრებული ღრიანცელის მეტი სხვა არაფერი და არას დროს არა ყოფილა რაო.

მეორე დღეს, დილით, როდესაც ბავშვები სოფლის არე-მარეს სირზელით გამოსცილდნენ, უკანვე დაბრუნდნენ, სოფელში განგაში დაჰკრეს და განაცხადეს, რომ გუშინდელი მთხოვარი ვერხვის ქვეშ ნახეს და შეიძლება ყელ-გამოჭრილი იყვეს, რადგან მის მახლობლათ ხანჯალი გდიაო.

მაგრამ, როდესაც უფროსი ყაზახები ჩამოვიდნენ სანახავათ, რომ გავგოთ ამ ამბის სიმართლე, აღმოჩნდა, რომ ისე არ იყო, როგორც ამბობდნენ. მოხუცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

მასთან რომ მივიდნენ, მან სცადა წამომდგარიყო, მაგრამ ვერ შესძლო. როგორც აღმოჩნდა, მას ენა ჩავარდნოდან და იგი ცრემლ-მორეულის თვლებით ყველას ოაღსაც ეკითხებოდა, ზრბოში ეძებდა, მაგრამ ვერაფერს ვერ პოულობდა, არც არავინ რაიმე პასუხს აძლევდა.

სალამოს იგი მოკვდა და იქვე, სადაც იპოვეს, ვერხვის ქვეშ ჩაფლეს, რადგანაც საჭიროთ იცნეს, რომ წესი არ არის სასაფლაოზე მისი დამარხვაო: ჯერ ერთა—იგი უცხოა, მეორე—ქურდია, მესამე კი მოუნანიებლივ მოკვდაო. მის მახლობლათ ტალახში ხანჯალი და თავსახვევი იპოვეს.

ორი თუ სამი დღის შემდეგ ლენკაც აღმოჩნდა.

სოფლის მახლობლათ, მინდვრის ერთ ხევ ზევით, ყვაცების გუნდმა იწყო ტრიალი და, როდესაც იქ სანახავათ წავიდნენ, ბავში იპოვეს, რომელიც წვიმის შემდეგ ხევის ფსკერში დარჩენილ ტალახში პირ-ქვე იწვა ხელებ გაწლილი.

ჯერ გადასწყვიტეს, რადგან იგი ბავში იყო სასაფლაოზე დაეპარხათ, მაგრამ მოფიქრების შემდეგ ბიძიას გვერდით დასაფლავეს, იმავე ვერხვის ქვეშ. საფლავზე მიწის ბორცვი გააკეთეს და სედ დაადვეს ქვის ტლანქი ჯვარი.

ვანო გიუნაშვილი.

შილღერის ბოეზიის მირითადი თვისებანი.

სადაც მინახავს ერთი გერმანელის მხატვარი (სახელი აღარ მახსოვს) ნახატი, რომელიც, არ ვიცი რათ, იმდენათ მძლავრათ ჩამეჭედა მესხიერებაში, რომ დღესაც კი უცვლ-

ლის სიკვოველით წარმომადგება ხალმე თვალ-წინ მისი ყოველი ხაზი, მისი ყოველი სახე. ნახატი შემდეგია: ერთ მხარეზე დახატულია ინკვიზიტორები, დაქვემდებარებული წინაშე ურიკხვი მსხვერპლა; ზოგი თავი მოკლავს, ზოგი ჩამოხრობილი და სხვ.; მეორე მხარეზე კი მშვიდი და მასთან განუაზღვრელა სვედის გამოხატეული სახით ქრისტე ამბობს: „შეიყვარეთ ერთმანეთითო“. რა დიადი, რა წარმტაცი და რა მანუგეშებელი სიტყვებია, მკითხველო!

ქრისტე უდიდესი მასწავლებელი იყო, ადამიანის ბედნიერებას მსხვერპლათ მოუტანა თავისი თავი; და აჰა; განვილო მას შემდეგ ცხრამეტა საუკუნემ: ცხრამეტი საუკუნე ისმენს ღუმანურ ქადაგებას ძმობისას, ერთობისას; თანასწორობისა და კაცთ მოყვარობისას, ცხოვრება კი სრულებით სხვა გზით მიდის, სრულებით სხვა ურთავრობას ამყარებს ადამიანთა შორის. ცხრამეტი საუკუნე თავის თავისადაც საკმაოა იმის შესაგნებათ, თუ რა უფრო მძლავრია ცხოვრებაში—ადამიანის სული თუ ხორცი, ე. ი. ადამიანის სულიერი მისწრაფებანი თუ მატერიალური: აიღეთ რა დროის საზოგადოებაც გნებავთ. მასში უმთავრესი საზრუნავი მატერიალური კეთილდღეობაა: რა საერთო ან თანასწორი, არამედ კერძობითა, კლასობრივი; სულიერი მისწრაფებანი კი მშვენიერი სამკაულია, რომელიც ცხოვრებას ალაამზებს. ხოლო ურომპროსოთაც საზოგადოება საუცხოვოთა ძლებს. ეგოიზმი, საკუთარი ბედნიერებისათვის ზრუნვა ადამიანს იმდენათ მძლავრათა აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ ცხრამეტა საუკუნემ საქმით სხვისთვის ზრუნვა, საქმით სხვისი სიყვარული ვერ გახადა ჩვენს მოთხოვნილებათ. ძმობა, ერთობა, სიყვარული, თანასწორობა ყოველ ჩვენგანს მხოლოთ ენაზე აქვს მიწებებული ისიც უაზროთ და ნაძალადევათ; როდესაც ჯერი საქმეზე მიდგება, ყოველივე ამას უარყოფთ და ჩვენ აზრსაც კი ვერ ვამხელთ საჯაროთ აშკარათ, ამდენათ დავგიმონავა საკუთარ კუჭში ცქერამ! ყოველი მკითხველისათვის აშკარაა, რომ მატერიალური კმაყოფილება და მალული სულიერი მისწრაფებანი ერთათ ვერ თავსდებიან, ერთი-მეორეს არ ეკარებიან, ერთმანერთს გაურბიან. რა არის ამის მიზეზი? ის რომ მატერიალური კმაყოფილების საგანი პიროვნება არის, მალალი სულიერი მისწრაფებანი კი პიროვნების ალაგას მთელს საზოგადოებას აყენებენ და ამისდა მიხედვით საერთოთა და სათანასწოროთ აღიარებენ ყოველივეს. ადამიანში ეგოიზმი მძლავრია, მას ყოველივე კერძო უფრო იზიდავს, ვიდრე საერთო და საზოგადო და ამიტომ ვიდრე თვით ცხოვრება არ გაამეფებს პრინციპს ერთობისა და თანასწორობისას, ადამიანი ამ პრინციპის გზას არ გაყვება. მეთვრამეტე საუკუნემ თავისი ქალარა წვერები ამ პრინციპისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლით შეიღება; ბრძოლა იყო სასტიკი და მედგარი, მაგრამ რას ვხედავთ დღევანდელ საზოგადოებაში? მხოლოთ შელახვას ამ პრინციპისას: ყველა ვცხოვრობთ საკუთარი თავისთვის, ყველას მხოლოთ საკუთარი თავი გვახსოვს; გამაძლარ კუჭზე ზოგი ვწერთ სტატიებს ერთობაზე და სიყვარულზე, ზოგი პირზე ღიმით ვკითხულობთ ამგვარ სტატიებს. ზოგი გახარებული გამტყიცებთ სხვა და სხვა ალაგას და სხვა და სხვა შემთხვევის დროს, რომ ერთობა და თანასწორობაშია კაცობრიობის მხსნელი ძალა, ნამდვილათ ჩვენს კერძო ცხოვრებაშიაც კი მტერი ვართ ყოველივე ამისი და ეს ნებით მოგვდის, თუ უნებლიეთ საქმისათვის სულ ერთია, — ფაქტი ფაქტათ რჩება. ამისთანა დროს რა მნიშვნელობა აქვს მძლავრ ქადაგებას კაცთ-მოყვარეობისა და თანასწორობისას? მხოლოთ ის, რომ საკუთარი ბედნიერებით გატაცებულს ადამიანს არ დაავიწყოს, რომ არსებობს უფრო მალალი მიზანი, უკეთესი ცხოვ-

რება; უკეთესი წყობილება; მხოლოდ ის, რომ ადამიანს მოაგონოს, რომ ის ადამიანია და ამიტომ ცხოვრებითა და მისწრაფებით პირუტყვზე მალა უნდა იდგეს. არავითარი ქადაგება და არავითარი სატყუა, ვასკანაც უნდა იყოს ის ნათქვამი, არაფერს აკეთებს იმის მეტს, რომ ადამიანს დაანახვებს უმადლეს მიზანს და მოაგონებს მის მოვალეობას. ქადაგება კაცთ-მოყვარეობასა და თანასწორობისა სწორეთ ასეთა სიტყვაა. დეე ხშირათ გაისმოდეს - ის, დეე ხშირათ აღეულებდეს და აფხაზლუბდეს ის ადამიანის გონებას, დეე შეუწყვეტლათ გვაგონებდეს ის ჩვენს ადამიანურს მოვალეობას ადამიანის მიმართ, — ერთხელაც არის სული ხორცსა სძლეეს, გადმოხეუქავს, განსანს და განწმენდს ცხოვრებას და შემოიტანს იქ კაცთ-მოყვარეობას, ერთობასა და თანასწორობას.

მკითხველმა იქნება იკითხოს კიდევ, რა აქვს საერთო ამგვარ შესავალს შილლერთანო. აი რა. შილლერი სწორეთ ის უკვდავი პოეტია, რომლის ქადაგება კაცთ-მოყვარეობისა, ერთობისა და თანასწორობისა ყველაზე უფრო მძლავრათ გაისმოდა წარსულთა საუკუნის განსაჯლობაში. შილლერი არის მშვიდი, წყნარი, ჩვილი და მეტათ ნაზი მოციქული კაცთ-მოყვარეობისა და თანასწორობისა; მართალია საზოგადოებაში უკვე მოასპო ის ფორმა კაცთ-სიძულვილისა და უთანასწორობისა, რომელიც შილლერის დროს მეფობდა, მაგრამ ეს პოეტი არ ებრძოდა განსაზღვრულ ფორმის საზოგადოებრივი უთანასწორობისას, არამედ ის მტერი იყო ყოველგვარი უთანასწორობისა და სიძულვილის, სანამ არ განხორციელდება ცხოვრებაში ის სპეტაკი მისწრაფებანი, რომლებსაც პოეტა ქადაგებდა, შილლერიც ყოველთვის ჩვენთან მყოფი, ჩვენი თანამეჯრევე, ჩვენი თანამგრძნობი იქნება, მარად ახალგაზდა და მარად გარდუკალი და ამიტომ გათვალისწინება მისი აზრების, განახლება გულსა და გონებაში მისი გრძნობების, ფაქრასა და მისწრაფების ჯერ კიდევ დიდხანს მოუტანს სარგებლობას ჩვენისთანა მკითხველს.

სანამ გადვიდოდეთ პირდაპირ საგანზე, გავიცნოთ შილლერის ცხოვრება და მისი საყმაწვილის წლები. ბიოგრაფიის მხრით ევროპის მწერლები გაცილებით ბენდიერნი არიან ჩვენს მწერლებზე. შილლერის ბიოგრაფიის შესახებაც ბევრი მასალა არსებობს. იოჰან-ქრისტოფინ-ფრიდრიხ შილლერი დაიბადა 10 ნოემბერს 1759 წელს. მამა მისი იოჰან-კასპარ შილლერი იყო ფერმალი, შემდეგ სამხედრო სამსახურში შევიდა და, რადგანაც ჯამაგირი მკირე ეძლეოდა, სხვა წყარო შემოსავლისა კი არავითარი არა ჰქონდა, ამიტომ ღარიბულათ ცხოვრობდა. პატარა შილლერის პირველ-დაწყებითი აღზრდა დედის ხელში იყო. შილლერის დედა მეტათ გულკეთილი, პატიოსანი, ქვიანი და ღეთის მოსაფი ქალი იყო; თავისი ხასიათის ყველა კარგი თვისებანი გადასცა შვილს და აღზრდით კიდევ უფრო განუმტკიცა. შილლერი სიპატარავიდანვე იყო ნამეტანი გულკეთილი, გულჩვილი და საამხანაგო ბავში. ხშირათ ის წიგნებს თავისზე უფრო ღარიბ ამხანაგებს მისცემდა ხოლმე, ხან და ხან ზედა ტანისამოსსაც თან გაატანდა ხოლმე და, თუმცა ამისათვის მადლობას არ ეუბნებოდა მამა მისი, მაგრამ ყოველი ახალი შემთხვევის დროს პატარა შილლერის კაცთ-მოყვარეობა და პატიოსნება უცვლილათ იჩენდა ხოლმე თავს. დედის შემდეგ შილლერს ასწავლიდა ადგილობრივი ეკლესიის პასტორი მოზერი, რომელიც მთელი სამი წელიწადი იყო შილლერის მასწავლებლათ. 1772 წლამდე შილლერი სწავლობდა ადგილობრივ ოთხკლასიან სასწავლებელში ლიუდვიგსბურგში. ლიუდვიგსბურგში ცხოვრებდა ვიურტემბერგის მთავარი, კარლ-ფრედერი, რომელიც განთქმული იყო თავისი უზნეობითა და გარყვნილებით. ეს

იყო ნამდვილი წარმომადგენელი თვით-მპყრობელი მთავარლისა; თავის ქვეშევრდომებს სულს უხუთავდა სხვა და სხვა გადასახადებით, მის სასახლეში კი მილიონებუ იხარჯებოდა იმისი საყვარლების საჩუქრებზე. პატარა შილლერიც გულკეთილდგინეთ უკვირდებოდა ყოველივეს; რასაც ხედავდა და რაც მის გარშემო ხდებოდა და მთავრის ცხოვრება, მისი ზნე-ხასიათი მალე გაიცნო დაახლოვებით და დაწვრილებით. პოეტის ნიჭი შილლერს ბავშვობაშივე ეტყობოდა. ათის წლისა არც კი იყო ის, როდესაც ლექსებსა და მთელ პიესებსა წერდა. თორმეტი წლისამ ორი ტრაგედია დაწერა და ლექსების წერაში იმდენათ დახელოვნებული იყო, რომ არა თუ გერმანულ ენაზე ლათინურათაც კი წერდა ხოლმე. როდესაც სკოლას ინახულებდა რომელიმე წარჩინებული პირი, მასწავლებელი საგანგებოთ შეუკვეთდა ხოლმე პატარა შილლერს მისალოც ლექს და ისიც საუცხოვოთ ასრულებდა მასწავლებლის მონდობილობას. როგორც თვითონ შილლერს, იმის მშობლებსაც მისი პასტორობა უნდოდათ, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი. 1770 წლიდან შილლერის მამა დაინიშნა სასახლის ბაღების ზედამხედველათ. მთავარმა პატარა შილლერს ყურადღება მიაქცია და, როდესაც ის კურსს ათავებდა, მამა მისს წინადადება მისცა: შენმა შვილმა პასტორობს თავი დაანებოს და იურიდიული მეცნიერება შეისწავლოს, რადგანაც ჩემს სამთავროს კარგი ჩინოვნიკები ესაჭიროებოა. მამამ რასაკვირველია უარი ვერ გაბედა და 1773 წელს შილლერი მიბარეს მთავრის სასწავლებელში. ეს სასწავლებელი, ანუ აკადემია, რომელიც მთავარმა დააარსა თავისი საკუთარი ხარჯით, იმყოფებოდა ერთ-ერთ მის სახახლეში. აკადემიაში მეტად სასტიკი წეს-რიგი არსებობდა. რექტორათ თვითონ მთავარი ითვლებოდა და ყმაწვილების აღზრდაში და ყოფა-ქცევის თვალ-ყურის გდებაში დიდ მანაწილეობას იღებდა. სასწავლებელში აზნაურები გაყოფილი იყვნენ არა აზნაურთაგან; ისინი ტანისამოსსაც კი სხვა და სხვა ნაირს ატარებდენ. იურიდიული საგნები შილლერს დიდათ არაფრათ ეპიტნავებოდა და უფრო მეტ ყურადღებას საექიმო საგნებს აქცევდა. მაგრამ ყველაზე უფრო ის პოეზიამ გაიტაცა. თუმცა სასწავლებელში ახალი პოეტების კითხვა და ლექსების წერა სასტიკათ იყო აკრძალული, მაგრამ შილლერი მაინც ახერხებდა ახალი წაგნების შეძენას, გაფაციცებოთ კითხულობდა შექსპირს, კლოპშტოკს, ლესსინგს, გეტეს და სხვ. და თითონაც ბევრსა წერდა. აკადემიაში მოსწავლენი მოკლებული იყვნენ ყოველგვარ თავისუფლებას, მათ სასტიკ მხედრულ წესზე ზრდიდენ და ამგვარი შევიწროება ყველაზე უფრო ახალგაზრდა შილლერს უხუთავდა სულს და ხშირათ ისეთ სასოწარკვეთილებაში აყენებდა, რომ ახალგაზრდა პოეტი თავის მოკვლასაც კი განიზრახავდა ხოლმე. ერთ ამგვარ სასოწარკვეთილების დროს ის აკადემიიდან თავის დას წერდა: ვინიცობაა მე თავი მოვიკლა, ჩემი მშობლების მანუგეშებელი შენ უნდა იყოვო. სიპატარავიდანვე შილლერი თავისუფლებას და თანასწორობას ეტრფოდა, სიპატარავიდანვე ვერ შეგუებოდა ის შევიწროებას, შეზღუდვას, უთანასწორობას; სიპატარავიდანვე იხატებოდა მასში ის თვისებანი და მიდრეკილებანი, რომლებიც შემდეგში საძირკვლათ დაედვენ მის პოეზიას.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

ბაშის მხარამოხელთა საყუარდებოთ.

ვინ არ იცის, რა უკიდურეს მდგომარეობაშია ამ კამათ ჩვენსა ბაშის ადგი-მიცემების საქმე? მთავრობებს თუ არა ბაშის მოსავლის მკარეფის დრო, სოფლები ივსება წვრილ შეიდეკლ-ჩარ-

ახალმა გამგებამ წიგნთ-საცავი ჩააბარა, არამც თუ რამდენჯერმე: ერთხელაც კი არ დაუნბნავს კრებას, რისთვისაც მე თათონ ვემდურდები, და საიდან გამაგებნა ბ. „გულ. მეგ.“ ასეთა ამავი? იქნება სამკითხველთა სადამაბოთ წყურქის შეკრება უფროაღ-გა-სეთებთან წასაკითხათ, კრებები ჰგონა კორესპონდენტს? შემდეგ: „არ ვიცი რას უნდა მაკაწერდო; რომ შარშან ძველმა გამგებამ 276 მან. 36 კ. წარმადგენებიდან მოგვრკა. შეიძინა სტატორ. ნაოთება და წლეულს კი ჯერ არაფერა მამკურთკებას“ და სხვ. რადაციისთვის ყურა მთუკრავს ბ-ნ „გულ. მეგ.“ და კარგათ კი არ გამოუძიებია. ფულა, რომელსაც იგი ასახელებს, ე. ი. 266 მან. 36 კ. არას მთვრალი კონკურენტებთან და წარმადგენთა-დან, სულ გარეშე შინას შეკადინებოთ (არ შეკვიძლა უარ-ყუთი გამგებანს ერთა წყურას დასმარება) და რომ ეს ფულა მამკურთკე-ლი იყო წიგნთ-საცავისთვის კი არა, სხვახედა თეატრის ფონდისთვის; ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ დღესაც იგი სულსხელებული ძვეს ფონ-დის სახელდასზე სახინაშა შეტანალია და არა „სხვა და სხვა სა-ჭარბ ნაოთება შეტანალია“, რაკორც ბასებს ბ-ნი „გულთადაი მეგობარა“—რაც შეეხება იმას, რომ ჯერ ახალ გამგებანს არაფე-რა გაუმართავს წიგნთ-საცავის სასარგებლოთ, ეს შათა აახსნება, რომ აღარ ხედათ წილათ მთელ საფხულს არც ერთა დღე თაკი-სეფლა. უკვლამ კარგათ იცის, რომ გვირავა სულ უკანასკნელა—სამჯერ თახჯერ მანც იმართებდა წარმადგენები; სასაფლავსკ-დაც კი გაუმართონ ვიდაცას წარმადგენა მკვდრებისთვის (თუმცა ცოცხლებიც დაესწრენ), იმდენი ახალ-ახალი სტენის მოკვარენი გაჩნდნენ... და ვინ დააცალა საწყალ წიგნთ-საცავს, თორემ გა-ჭირკებით, ღვთას წყალობა მოკვრეთ, რომ მას უჭირს, ან კი როგორ არ უნდა გაუჭირდეს, რომ ძველმა გამგებამ თავის მო-დგილეს შემდეგი სამდიდრე გადასცა: 2 მან. 51 კაზ. ფულად და 124 მან. ვალი (სახლას ქირა).

გულწრფელი ადამიანი.

„კვალს“ მე-40 ნომერში დასტამბულა კორესპონდენტია ოზურგეთიდან ბ. დ. ქარცავაძის. ბ-ნი ავტორი უსაფუძვლოთ უს-ვედურებს ოზურგეთის სამკითხველთს გამგეს ბ-ნ ვაშემადქეს და მასთან გამგებანს წვერთ ბ.ბ. კიკვიძეს, გრიაზნოვს და თქვენს უმორჩილეს მონას. ჩვენ არასოდეს წინააღმდეგი არ ვიქნებით იმა-სი, რომ სიმართლე დაიფაროს; მაგრამ არც იმ აზრისა ვართ, უსამართლოთ ვინმე სამარცხვინო ბოძსე გაგვარათ.

აი სრული სიმართლე ოზურგეთის მრავალ-ტანჯული სამკით-ხველთს შესახებ. დაარსებულა ის ოზურგეთის თვით-მმართველთ-ბის სახელზე. გამგეთ არჩეულ იქნა საბჭოს მამინდელი ხმოსანი ბ-ნი სპ. ვაშემადქე. შემდეგ როცა ძველი ხმოსნები სამსახურიდან გადადგენ სამკითხველთ უგამგეთ დარჩა—რადგან წესდების ძლით ვაშემადქე როგორც არა ხმოსანი გამგეთ ვერ დარჩებოდა; მან მი-მართა საბჭოს თხოვნით და ითხოვა განთავისუფლება. თხოვნა შე-იწყნარეს, ვაშემადქე განთავისუფლეს ფორმალურად, ხელთ საქმით კი არა. იქვე არჩიეს საბჭოს წარმომადგენლთ სამკითხველთს სა-ქმეებში ბ-ნი ს. გრიაზნოვი, ხელთ გამგებანს წვერებათ ისევე ვაშემადქე, კიკვიძე და წულაძე. არ ვიცი თუ ეს განახენი, დაამტკიცეს თუ არა ვისგანაც ვერ იყო; ვიცი თ მოლოთ ის, რომ ეს არჩევა-ნი მარტში იყო და მას შემდეგ დღემდე ჩვენთვის ოფიციალურად არავის არაფერი უნებებია—არავის არაფერი არ ჩაუბარებია. და რომ იგივე არამკითხულობა უკვლავს საძახისისა და მეტადრე იქ სცა ცხვირს მოგტყენ. და თუ ოზურგეთის სამკითხველთ ჩამოქვეითე-ბულია ეს აახსნება იმით, რომ მას განაკებს მოლოდ ერთი კაცი, რომელიც დრო წელიწადია იხვეწება გამათავისუფლებოთ. მეორე მიზეზი ის განსვით, რომ ის (სამკითხველთ) არც ქალქისა და

არც სსოკადობის,—მასხადამე არც ერთი უფლის და არც მკა-რე. რა ქნას აქ ერთმა კაცმა ხელ-ფეს შებორკილმა, უფლებს აუ-რილმა;—თუ გინდ ეს კაცი ვაშემადქე იყოს—ქრქე ქრქე ქრქე! აქ წესდება სტუდის და არა ერთი ზარი—სამკითხველთს შემტყენ და გამგებანს წვერსა. ესე უნდა უხასუხათ დიდებულ იუბიტეს, რომელიც ამასწინათ ამ საგნისავე შესახებ გავვირახსდა „კვ-ლის“ №-ში.

აბ. წულაძე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

თფილისის კერძო სამკურნალო

ბაღვაწაშვილისა

(კუთია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ღ ი თ :

- გ. ა. ჭაჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
 - ნ. ტ. მუღანი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
 - გ. გ. მადალაშვილი—შინაგან. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.
 - დ. ი. კამოვეა.—საშარდეს (ქორუგიული) ავთომყოფი-სათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
 - ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 11—12.
 - ბ. მ. ელიოზიშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.
 - დ. ა. კედეგანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლო-ბა ელექტრონით 12—1 ს.
 - გ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვების, და ბავშვებისა სამშაბ. და პარასკ. 1—2. კრაობით—9—11.
 - ა. გ. ბარსუკოვი—დელათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთშაბათობით და პარასკეობით, 12—1.
 - გ. მ. ამბარდანიშვილი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.
 - გ. გრ. საბოლევსკი—ქორურგ. და ორტოპედული, ორშ., ოთშ. და პარასკ. 1—3.
- ს ა დ ა მ ო თ ა ი :
- ი. ნ. თუმანიშვილი—დელათა სნეულებანი, 5—6.
 - ა. გ. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყუვილის აკრა, მიკრო-ქიმიური ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი 5—6. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარი-გებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები შორიგებით.